

**საქართველოს მთავრობის  
დადგენილება  
N400      2014 წლის 17 ივნისი    ქ. თბილისი**

**საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების  
სტრატეგიის „საქართველო 2020“ დამტკიცებისა და მასთან  
დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე**

**მუხლი 1**

1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 და მე-6 მუხლების შესაბამისად, დამტკიცდეს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“ (შემდგომში - სტრატეგია).

2. დაევალოს საქართველოს სამინისტროებს, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატებს და საქართველოს მთავრობას დაქვემდებარებულ შესაბამის უწყებებს, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 34-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ყოველი წლის 30 ივნისამდე შეიმუშაონ საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები, ამ დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტით დამტკიცებული სტრატეგიის შესაბამისად.

3. დაევალოს საქართველოს სამინისტროებს, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატებს და საქართველოს მთავრობას დაქვემდებარებულ შესაბამის უწყებებს:

ა) სტრატეგიის მოქმედების ვადაში, უზრუნველყონ მათ მიერ გასატარებელი პოლიტიკის/ღონისძიების/რეფორმის შესაბამისობა სტრატეგიასთან;

ბ) ყოველწლიურად, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის პარალელურად მოამზადონ და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას წარუდგინონ ინფორმაცია სტრატეგიის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებისა და მიღწეული შედეგების შესახებ.

4. დადგენილებით განსაზღვრული ღონისძიებების კოორდინირება დაევალოს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას.

5. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიმართვის საფუძველზე ეთხოვოს სხვა დაწესებულებებს წარმოადგინონ ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებში აღნიშნული სამოქმედო გეგმები და ინფორმაცია.

**მუხლი 2.** საქართველოს სამინისტროებმა, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატებმა და საქართველოს მთავრობას დაქვემდებარებულმა შესაბამისმა უწყებებმა, 2014 წელს, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები ამ დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტით დამტკიცებული სტრატეგიის შესაბამისად, შეიმუშაონ 2014 წლის 1 აგვისტომდე.

**მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.**

პრემიერ-მინისტრი  
**ლარიბაშვილი**

**ირაკლი**

**საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია  
საქართველო 2020**

**საქართველოს მთავრობა**

სარჩევი

|   |     |
|---|-----|
| წინასიტყვაობა .....   | 3   |
| განვითარების ხედვა .....  | 4   |
| სტრატეგიის მიზანი .....   | 10  |
| არსებული მდგომარეობის მიმოხილვა .....   | 10  |
| აუცილებელი წინაპირობები ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის.....                     | 17  |
| მაკროეკონომიკური პოლიტიკის ჩარჩო.....   | 18  |
| ეფექტიანი საჯარო მმართველობა .....  | 27  |
| 1.კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობა .....  | 28  |
| საინვესტიციო და ბიზნესგარემოს გაუმჯობესება.....                                   | 29  |
| ინოვაცია და ტექნოლოგიები .....  | 38  |
| ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა .....  | 43  |
| ინფრასტრუქტურის განვითარება და სატრანზიტო პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება..... | 49  |
| 2.ადამიანური რესურსების განვითარება .....   | 64  |
| შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული სამუშაო ძალის განვითარება .....           | 65  |
| სოციალური უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფა .....                                   | 78  |
| ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანდაცვის უზრუნველყოფა .....                          | 82  |
| 3.ფინანსებზე ხელმისაწვდომობა .....  | 92  |
| საინვესტიციო რესურსების მობილიზება .....  | 93  |
| ფინანსური შუამავლობის განვითარების ხელშეწყობა .....                               | 99  |
| განხორციელების ჩარჩო .....  | 109 |
| მონიტორინგი და შეფასება .....   | 109 |
| სტრატეგიის კავშირი სახელმწიფო ბიუჯეტთან .....                                     | 110 |
| დანართი. ზრდის დიაგნოსტიკის მეთოდი .....  | 111 |

## **წინასიტყვაობა**

საქართველოსთვის დამოუკიდებელი, საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებული ეკონომიკური სისტემის ფორმირების პირველი წლები განსაკუთრებულად რთული აღმოჩნდა - სამოქალაქო დაპირისპირება, საომარი მოქმედებები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, ენერგო და სატრანსპორტო ბლოკადა, უკიდურესად დამაბული კრიმინოგენული გარემო, ძველი, ტრადიციული კავშირებისა და მომწოდებელთა დაკარგვა, მათი შემცვლელი ახალი მომწოდებლებისა და კავშირების არარსებობა, სამუშაო ძალის მიგრაციის მაღალი მაჩვენებლები იმ ნეგატიური ფაქტორების მცირე ჩამონათვალია, რომლებსაც დამოუკიდებლობის პირველ წლებში უპრეცედენტო ეკონომიკური ვარდნა, ჰიპერინფლაცია და უმუშევრობის კატასტროფული ზრდა მოჰყვა.

ქვეყანა რადიკალური და სწრაფი ეკონომიკური რეფორმების აუცილებლობის წინაშე დადგა, რომელთა ეტაპობრივმა განხორციელებამ ვითარება საგრძნობლად გააუმჯობესა, მაგრამ სასურველი შედეგი ვერ მოგვცა, განსაკუთრებით, უმუშევრობისა და სიღარიბის დონის შემცირების კუთხით. დღემდე არსებულ სტრატეგიულ და საპროგრამო დოკუმენტებში გაცხადებული მიზნები, რომლებიც სიღარიბისა და უმუშევრობის მნიშვნელოვან შემცირებას უკავშირდებოდა, კვლავ მიუღწეველია.

წინა წლებში ეკონომიკური ზრდის შედარებით მაღალი ტემპის დაფიქსირების მიუხედავად, მოსახლეობის დიდი ნაწილის მდგომარეობა არ შეცვლილა. შესაბამისად, საქართველოს მთავრობის მიზანი გრძელვადიანი ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის საფუძვლის შექმნა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებაა.

## **განვითარების ხედვა**

საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა სამ უმთავრეს პრინციპს ემყარება. პირველი პრინციპი ეკონომიკის რეალური (წარმოების) სექტორის განვითარებაზე ორიენტირებული სწრაფი და ეფექტიანი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაა, რაც განაპირობებს ქვეყანაში არსებული ეკონომიკური პრობლემის გადაჭრას, სამუშაო ადგილების შექმნასა და სიღარიბის დამლევას. მეორე პრინციპია ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რაც გულისხმობს მოსახლეობის საყოველთაო ჩართულობას ეკონომიკური განვითარების პროცესში (დიასპორის, მიგრანტების, ეთნიკური უმცირესობების და სხვა ჯგუფების ჩათვლით), ეკონომიკური ზრდის შედეგად საზოგადოების თითოეული წევრის კეთილდღეობას, მათ სოციალურ თანასწორობასა და მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. მესამე ძირითად პრინციპს ეკონომიკური განვითარების პროცესში ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და მდგრადობის უზრუნველყოფა და ბუნებრივი კატაკლიზმების რისკების თავიდან აცილება წარმოადგენს.

საქართველოს მთავრობა აღიარებს დემოკრატიული განვითარების, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის, კანონის უზენაესობისა და ეფექტიანი მმართველობის პრინციპებს, რომელთაც ეფუძნება მისი პოლიტიკა.

ევროკავშირში ინტეგრაცია საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის ქვაკუთხედიანია. საქართველოს მთავრობა მოწოდებულია განუხრელად დაიცვას ქვეყნის დემოკრატიული განვითარების კურსი და უზრუნველყოს საერთო ევროპული ფასეულობების მტკიცე მხარდაჭერა, რაც ევროკავშირთან დაახლოების საფუძველი გახდება. შესაბამისად, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ ეფექტიან განხორციელებას (რომლის განუყოფელ ნაწილს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება წარმოადგენს), რაც ევროკავშირთან პოლიტიკური ასოცირებისა და ეტაპობრივი ეკონომიკური ინტეგრაციის საწინდარია. განვითარების ამ ეტაპზე და არსებული რეალობის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობის მიზანი იმგვარი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებაა, რომელიც ქვეყნის მდგრად განვითარებას უზრუნველყოფს. ეკონომიკური პოლიტიკა უნდა დაეფუძნოს ეკონომიკური თავისუფლებისა და საკუთრების უფლების პატივისცემასა და დაცვას. ამავდროულად, სახელმწიფო იქნება ეკონომიკურ პროცესებში სამართლიანობის დაცვის გარანტი.

ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს მთავრობა აამოქმედებს ეკონომიკის მარეგულირებელ მექანიზმებს, კრიზისულ შემთხვევაში კი ხელს შეუწყობს ბაზარზე მოთხოვნის სტიმულირებას.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის მთავარი პრინციპი კერძო სექტორის თავისუფლების უზრუნველყოფაა მთავრობის ოპტიმალური, ეფექტიანი და გამჭვირვალე საქმიანობის პირობებში. ეს გულისხმობს იმგვარი ეკონომიკური წესრიგის ჩამოყალიბებას, როდესაც კერძო სექტორი თავად იღებს გადაწყვეტილებებს, დაცულია საკუთრების უფლების უზენაესობა და ეკონომიკური განვითარების მთავარ მამოძრავებელ ძალად კერძო სექტორი გვევლინება. თავისუფალი საბაზრო ურთიერთობები შერწყმული იქნება სახელმწიფო რეგულაციების ოპტიმალურ მოდელთან. სახელმწიფო უზრუნველყოფს თითოეული მოქალაქის კეთილდღეობას.

ოპტიმალური და ეფექტიანი მთავრობის პრინციპზე დაყრდნობით, სახელმწიფო მინიმალურად ჩაერთვება სამეწარმეო საქმიანობაში და კონკურენციას არ გაუწევს კერძო სექტორს. სახელმწიფოს მონაწილეობა ეკონომიკურ აქტივობაში შემოიფარგლება მხოლოდ იმ სფეროებში საქმიანობით, რომლებშიც კერძო სექტორი სუსტი და არაეფექტიანია.

საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობას ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანეს მამოძრავებელ ძალად მიიჩნევს. კონკურენციის არსებობა, როგორც შიდა, ისე გარე ბაზრებზე, ეკონომიკის წარმატებული ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა.

საჭიროა საერთაშორისო ვაჭრობაში ორმხრივი გახსნილობის უზრუნველყოფა და თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის არეალის გაფართოება.

უცხოური ინვესტიციებისადმი ქვეყნის მზაობისა და მიმზიდველობის უზრუნველყოფა შესაძლებელი გახდება სტაბილური და პროგნოზირებადი ეკონომიკური პოლიტიკით, ასევე საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებთან ინტეგრირებით და ქვეყნის ფინანსური რისკების შემცირებით.

საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა ეკონომიკურ ეფექტიანობასთან ერთად, იხელმძღვანელებს სოციალური უსაფრთხოების და სოციალური სამართლიანობის პრინციპებით. უმუშევრობის შემცირება და ღირსეული შრომის პირობებით მოსახლეობის უზრუნველყოფა, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლების, ჯანდაცვისა და საბაზისო სოციალური უზრუნველყოფის სისტემების ინკლუზიურობაზე ორიენტაცია ამ პრინციპების განმახორციელებელ ინსტრუმენტებს წარმოადგენს.

საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა კეთილდღეობის ზრდას უმუშევრობის შემცირებით მიაღწევს. ამავდროულად, ხელისუფლება მოსახლეობას საბაზისო სოციალური გარანტიებით და უღარიბესი ფენებისათვის მიზნობრივი სოციალური დახმარებით უზრუნველყოფს. საქართველოს მთავრობა პრიორიტეტულად მიიჩნევს იმ პრობლემების გადაჭრას, რომლებიც, პირველ რიგში, დასახული კეთილდღეობის მიღწევას აფერხებს.

ანალიზის საფუძველზე ეკონომიკის განვითარების ხელშემშლელ კრიტიკულ პრობლემათა შორის გამოიკვეთა კერძო სექტორის დაბალი კონკურენტუნარიანობა, არასათანადოდ განვითარებული ადამიანური კაპიტალი და ფინანსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა.

ასეთ ვითარებაში ხელისუფლებამ უნდა წაახალისოს კერძო სექტორი, ხელი შეუწყოს ინვესტიციების მოზიდვას და შექმნას სამართლიანი და დაცული ბიზნესგარემო. მისი ამოცანაა, აგრეთვე, ბიზნესის განვითარების სტიმულირება ინოვაციების და სამეწარმეო უნარების განვითარების და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდის ხელშეწყობით, რაც ქვეყანაში ეკონომიკურ ზრდას განაპირობებს. კეთილდღეობის მისაღწევად სახელმწიფო მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოებისთვის საბაზისო სოციალური დაცვის სისტემის შექმნისა და შესაბამისი სერვისით უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“-ში (შემდგომში - სტრატეგია) აღწერილია ის პრიორიტეტები და პრობლემები, რომელთა გადაჭრა საჭიროა გრძელვადიანი, მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მისაღწევად. ამასთან, ინკლუზიური ეკონომიკური განვითარების მისაღწევად დიდი მნიშვნელობა ენიჭება რეგიონულ განვითარებას. საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, რომ ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა დიდწილად და მოკიდებული არა მარტო საერთო ეროვნული, არამედ რეგიონული განვითარების პოლიტიკის ეფექტიან დაგეგმვასა და განხორციელებაზე, ძლიერ და კონკურენტუნარიან რეგიონებზე. რეგიონული

განვითარება განიხილება როგორც უმნიშვნელოვანესი ფაქტორი საერთო ეროვნული წარმატების მისაღწევად.

რეგიონული განვითარების პოლიტიკის სწორად დაგეგმვისა და განხორციელების უპირატესობად შეიძლება განვიხილოთ ამა თუ იმ რეგიონის შედარებითი უპირატესობის, მისი სპეციფიკის, არსებული პოტენციალის გამოვლენა და მისი ოპტიმალური გამოყენება. ამასთან ერთად, ადგილობრივი ინფრასტრუქტურის შემდგომი მოწესრიგება და განვითარება რეგიონებს შორის უთანასწორობის შემცირების, ადგილობრივი ეკონომიკის ზრდისა და მისი სტიმულირების, პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვისა და ევროკავშირთან შემდგომი დაახლოების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.

თანმიმდევრული დეცენტრალიზაცია და სუბნაციონალური ერთეულების წამყვანი როლი ადგილობრივი ეკონომიკური პროცესების სტიმულირებაში ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს ფაქტორად მიიჩნევა. ამდენად, სტრატეგიით განსაზღვრული პოლიტიკის განხორციელებისას, აუცილებელია კონკრეტული ღონისძიებები ითვალისწინებდეს ადგილობრივი თვითმმართველობების ჩართულობას და მათ ამა თუ იმ საჭიროებას, ცალკეული რეგიონის განვითარების პრიორიტეტების შესაბამისად.

**სტრატეგია 2020 წლისთვის შემდეგი საპროგნოზო მაჩვენებლების მიღწევას ისახავს მიზნად:**

| მაჩვენებელი  | მიმდინარე მაჩვენებელი | საპროგნოზო მაჩვენებელი |
|--|-----------------------|------------------------|
| მშპ ერთ სულ მოსახლეზე (ლარი, ნომინალური)           | 5811.7                | 13 000                 |
| მშპ ერთ სულ მოსახლეზე (ლარი, მუდმივ ფასებში)       | 5811.7                | 9200                   |
| ჯინის კოეფიციენტი                                  | 0.41                  | 0.35                   |
| ინფლაცია (%)                                       | 2.4                   | 3.0                    |
| უმუშევრობა (%)                                     | 15.0                  | <12                    |
| გადასახადები (წილი მშპ-ში, %)                      | 24                    | 25                     |
| ექსპორტი (საქონელი და მომსახურება, წილი მშპ-ში, %) | 45                    | 65                     |
| მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (წილი მშპ-ში, %)      | >10                   | 6                      |
| სახელმწიფო ვალის მიმართება მშპ-სთან (%)            | 34                    | <40                    |

**სტრატეგიის მიზანი**

მოცემული სტრატეგიის მიზანი საქართველოში ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მთავარი შემაფერხებელი ფაქტორების იდენტიფიკაცია და მათ გადასაჭრელად შესაბამისი პრიორიტეტული ამოცანების განსაზღვრაა. სტრატეგია მოიცავს ეკონომიკური პოლიტიკის ე.წ. ჰორიზონტალურ ღონისძიებებს.

შესაბამისად, სტრატეგია მიზნად არ ისახავს ეკონომიკის ცალკეული სექტორის ანალიზს ან მათი კონკურენტუნარიანობის შეფასებას, არც ქვეყნის კონკურენტული უპირატესობების გამოვლენას. სტრატეგია განსაზღვრავს შესაბამისი სამინისტროებისათვის პრიორიტეტულ მიმართულებებს, რომლებიც შესაბამისი ხარჯების, პასუხისმგებელი ორგანოსა და მონიტორინგის მექანიზმის მითითებით, დეტალურად გაიწერება სამოქმედო გეგმებსა და სხვა შესაბამის დოკუმენტებში.

სტრატეგიის ღონისძიებები შესაბამისობაშია უკვე არსებულ სექტორულ სტრატეგიებთან. ამასთან, იგი არ ასახავს ყველა იმ ვალდებულებას, რომელიც საქართველოს მთავრობას აქვს აღებული.

### არსებული მდგომარეობის მიმოხილვა


საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენას ეკონომიკური რეფორმების ორი ტალღა მოჰყვა. რეფორმები, რომელთაც ახალი ეკონომიკური სისტემის ინსტიტუციური საფუძველი შექმნეს, 90-იანი წლების პირველი ნახევრის კრიზისის შემდეგ განხორციელდა. ამ პოლიტიკამ რეფორმების პირველ ეტაპზე განაპირობა ეკონომიკური ზრდის სტიმულირება, რომელიც 90-იანი წლების ბოლოს შეფერხდა.

2004 წელს დაწყებული რეფორმების მეორე ტალღა მიმართული იყო ბაზრის ლიბერალიზაციისკენ, რაც, სხვა საკითხებთან ერთად, გადასახადების, ნებართვებისა და ლიცენზიების რაოდენობის შემცირებით გამოიხატა.


წინა წლებში ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ინვესტიციები წარმოადგენდა, რომელთა დიდი ნაწილი მიმართული იყო ინფრასტრუქტურულ პროექტებზე. ამასთან, სამუშაო ძალის წილი ეკონომიკის განვითარებაში უარყოფითი იყო და საშუალოდ 1.6%-იანი კლების ტენდენციით ხასიათდებოდა. ფაქტორების მთლიანი მწარმოებლურობის (ეკონომიკური ზრდის ნაწილი, რომელიც შრომის ან კაპიტალის ზრდას არ უკავშირდება) საშუალო წლიური ზრდის ტემპი კი 2.8%-ს შეადგენდა.

დიაგრამა 1

### მთლიანი ფიქსირებული კაპიტალის ფორმირება და უცხოური ინვესტიციები




წარმოების ფაქტორების წლიური ცვლილება (%)



წყარო: საქსტატი; ფინანსთა სამინისტრო

წინა წლებში იყო მოლოდინი, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ხელს შეუწყობდა ახალი ცოდნის მიღებასა და ტექნოლოგიების დანერგვას, რაც ექსპორტის ზრდისა და დივერსიფიცირების და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის წინაპირობაა. თუმცა, ეს არ განხორციელდა იმ მასშტაბით, რომ ხელი შეეწყო გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისთვის. კერძოდ, ინვესტიციების დიდი ნაწილი მიმართული იყო კაპიტალტევად დარგებში, რომლებშიც მცირეა დასაქმების მოცულობა. ოფიციალური მონაცემებით უმუშევრობის დონემ ბოლო პერიოდში ყველაზე მაღალ მაჩვენებელს, 16.9%-ს 2009 წელს მიაღწია, თუმცა, მომდევნო წლების განმავლობაში ამ მაჩვენებელმა იკლო და 2012 წელს 15.0%-ის ნიშნულზე






დაფიქსირდა. რეალურად, სამუშაო ძალის დაახლოებით ორი მესამედი თვითდასაქმებულია. ყველაზე მეტი თვითდასაქმებული სოფლის მეურნეობაშია და მათი უმრავლესობა აწარმოებს პროდუქტს საკუთარი მოხმარებისთვის, რაც გასული ათწლეულის განმავლობაში სახელმწიფოს მიერ ამ დარგის იგნორირებამ განაპირობა. საბოლოოდ, ქვეყანაში უმუშევრებისა და თვითდასაქმებულების რაოდენობა შრომისუნარიანი მოსახლეობის დაახლოებით 70 პროცენტია.

დიაგრამა 3

დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლები




წყარო: საქსტატი

ანალოგიურად, განხორციელებულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ ვერ მოგვცა სასურველი შედეგი საექსპორტო კონკურენტუნარიანობის ზრდის თვალსაზრისით. უმნიშვნელო იყო ექსპორტის დივერსიფიცირება; იმპორტის მოცულობის ზრდამ მნიშვნელოვნად გაუსწრო ექსპორტის მოცულობის ზრდას, რამაც უარყოფითი საგარეო სავაჭრო სალდოს ზრდა გამოიწვია. ეს კი ქვეყნისთვის სერიოზულ მაკროეკონომიკურ რისკს წარმოადგენს.

დიაგრამა 4

## საგარეო ვაჭრობა




წყარო: საქსტატი

გარდა ამისა, ეკონომიკური ზრდით მიღებულმა შედეგმა ვერ უზრუნველყო სიღარიბის დონის მნიშვნელოვანი შემცირება. ბოლო ათწლეულში სიღარიბის მაჩვენებლები თითქმის არ შეცვლილა. ამასთანავე, საქართველო, რეგიონში უთანასწორობის მაჩვენებლის მიხედვით, ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა.

დიაგრამა 5


## სიღარიბის მაჩვენებლები



წყარო: საქსტატი

დიაგრამა 6

უთანასწორობის მაჩვენებელი (ჯინის კოეფიციენტი, 2010 წ.)



წყარო: მსოფლიო ბანკი

ზემოთ მოყვანილი ფაქტების გათვალისწინებით, უახლესი წარსულის ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზი ორი ძირითადი დასკვნის გამოტანის საშუალებას გვაძლევს:

- გასული ათწლეულის ეკონომიკური პოლიტიკა წარმატებული იყო ინვესტიციების მოზიდვისა და მოკლევადიანი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის თვალსაზრისით, თუმცა, მან ვერ შექმნა საფუძველი საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და გრძელვადიანი ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის;

- ეკონომიკური ზრდის შედეგები არ აისახა საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილზე და ვერც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა უმუშევრობისა და სიღარიბის მაჩვენებლებების შემცირებაზე.

სტრატეგიით გათვალისწინებული ახალი ეკონომიკური პოლიტიკა კეთილდღეობის ზრდას უმუშევრობის შემცირებით, შრომისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებით, საბაზისო სოციალური დაცვის სისტემის ფორმირებით და ადამიანური კაპიტალის განვითარებით მიაღწევს. ამავდროულად, ხელისუფლება იღებს პასუხისმგებლობას, დაეხმაროს და მიზნობრივი სოციალური დახმარება გაუწიოს უღარიბეს ფენას. ამდენად, სტრატეგია პრიორიტეტულად მიიჩნევს იმ პრობლემების გადაჭრას, რომლებიც, პირველ რიგში, დასახული კეთილდღეობის მიღწევას აფერხებენ.

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მისაღწევად მთავარი ამოცანა საქართველოს ეკონომიკის შემაფერხებელი ყველაზე კრიტიკული პრობლემების იდენტიფიკაცია და დაძლევაა. სტრატეგიის შემუშავებისას გამოყენებული ზრდის დიაგნოსტიკის მეთოდი (Growth Diagnostic Method) (იხ. დანართი) აღნიშნული კრიტიკული პრობლემების გამოვლენის საშუალებას იძლევა. კრიტიკულ

პრობლემათა შორის გამოიკვეთა კერძო სექტორის დაბალი კონკურენტუნარიანობა, არასათანადოდ განვითარებული ადამიანური კაპიტალი და ფინანსურ რესურსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა.

აღნიშნული სამი ძირითადი პრობლემის დასაძლევად სტრატეგიაში განისაზღვრა პრიორიტეტული მიმართულებები:

|  |
|--|
| <b>1. კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობა</b>                                 |
| საინვესტიციო და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება                                  |
| ინოვაცია და ტექნოლოგიები   |
| ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა   |
| ინფრასტრუქტურის განვითარება და სატრანზიტო პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება |
| <b>2. ადამიანური კაპიტალის განვითარება</b>                                   |
| შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული სამუშაო ძალის განვითარება            |
| სოციალური უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფა                                    |
| ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანდაცვის უზრუნველყოფა                           |
| <b>3. ფინანსებზე ხელმისაწვდომობა</b>   |
| საინვესტიციო რესურსების მობილიზება   |
| ფინანსური შუამავლობის განვითარების ხელშეწყობა                                |

**აუცილებელი წინაპირობები ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის**  
 სტრატეგიის წარმატებით განსახორციელებლად აუცილებელია რამდენიმე წინაპირობის შესრულება, კერძოდ, მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა და ეფექტიანი საჯარო მმართველობის უზრუნველყოფა.

- **მაკროეკონომიკური სტაბილურობა** - სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს მიღწევა სტრატეგიის წარმატებით განხორციელების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა. შესაბამისად, ფისკალური დისციპლინა, უმუშევრობის დაბალი დონე და ფასების სტაბილურობა, მონეტარული პოლიტიკის დამოუკიდებლობა, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის თანდათანობით შემცირება ზომიერ სიდიდემდე და ფინანსური სექტორის სტაბილურობის შენარჩუნება ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისთვის აუცილებელი ფაქტორებია;

- **ეფექტიანი საჯარო მმართველობა** - სტრატეგიის წარმატებით განსახორციელებლად საჭიროა სახელმწიფო ორგანოების შესაძლებლობების ადეკვატურად გაძლიერება სტრატეგიით დასახული მიზნების მისაღწევად.

**მაკროეკონომიკური პოლიტიკის ჩარჩო**

სტაბილური მაკროეკონომიკური პოლიტიკა სწრაფი და ჯანსაღი ეკონომიკური ზრდის აუცილებელი წინაპირობაა. იმ შემთხვევაში, თუ დადგება არჩევანის აუცილებლობა მთავრობის სხვა სოციალური ან ეკონომიკური მიზნების

განხორციელებასა და მაკროეკონომიკური სტაბილურობის გაცხადებული პოლიტიკის შესრულებას შორის, უპირატესობა ამ უკანასკნელს მიენიჭება.

საქართველოს ეკონომიკური ზრდის მოდელი შემდეგ ძირითად კონცეფციებს ეფუძნება:

- კერძო სექტორით განპირობებული ზრდა;
- ეფექტიანი მთავრობა;
- თანაბარი შესაძლებლობები ბიზნესისთვის;
- ზრდის ხელშეწყობის სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკა;
- თავისუფალი კონკურენცია;
- ვაჭრობისადმი გახსნილობა.

მაკროეკონომიკური პოლიტიკის ჩარჩოს შემუშავებით საქართველოს მთავრობა იღებს ვალდებულებას განახორციელოს სტაბილური მაკროეკონომიკური პოლიტიკა გარე რისკების დასაძლევად, გაატაროს სტრუქტურული რეფორმები მაკროეკონომიკური სტაბილურობისა და ფისკალური პასუხისმგებლობის მქონე მთავრობის რეკუტაციის შესანარჩუნებლად.

### **სტაბილური და მდგრადი მაკროეკონომიკური პოლიტიკა**

#### **- ფისკალური კონსოლიდაცია**

საშუალოვადიან პერიოდში საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს ფისკალურ კონსოლიდაციას. აღნიშნული პოლიტიკის მიზანია, 2017 წლისთვის დეფიციტის 2.5%-მდე, ხოლო 2020 წლისთვის 1.5-2%-ზე ნაკლებ მაჩვენებლამდე შემცირება. საშუალოვადიან პერიოდში, ფისკალური დეფიციტის შემცირება მოსალოდნელია სწრაფი ეკონომიკური ზრდითა და მიმდინარე ხარჯების ზრდის შეზღუდვით. დეფიციტის მიზნობრივი მაჩვენებლები დაეფუძნება საქართველოს მთავრობის მიერ პირველადი დეფიციტის ცვლილების წინასწარ განსაზღვრულ მაჩვენებლებს, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს სახელმწიფო ვალის სტაბილურობა და შექმნას შესაბამისი სამოქმედო სივრცე ანტიციკლური პოლიტიკისთვის. ეს, თავის მხრივ, საშუალებას იძლევა ფისკალურმა სტაბილიზატორებმა სხვადასხვა შოკზე რეაქცია ავტომატურად და ეფექტიანად მოახდინოს.

საქართველოს მთავრობა იღებს ვალდებულებას, გააფართოვოს ფისკალური სივრცე, რათა შოკზე რეაგირებისას იყოს უფრო მოქნილი და გაუჩნდეს მეტი ინსტრუმენტი მოსალოდნელი ფისკალური გამოწვევების საპასუხოდ, ისე, რომ საფრთხე არ შეუქმნას ფინანსურ პოზიციებს ან ეკონომიკურ სტაბილურობას.

#### **- ფასების სტაბილურობა**

საქართველოს ეროვნული ბანკი განაგრძობს ინფლაციის ტარგეტირების პოლიტიკას. მონეტარული პოლიტიკის მთავარი მიზანი ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის ფარგლებში შენარჩუნებაა. საქართველოს მთავრობას გაცნობიერებული აქვს, რომ სტაბილური ფასები, რომელსაც დაბალი, ერთ ნიშნულზე მყოფი ინფლაციის მაჩვენებელი განსაზღვრავს, მდგრად ეკონომიკურ ზრდას განაპირობებს. გრძელვადიანი სასურველი ინფლაციის მაჩვენებელი 3%-ია. საქართველოს ეროვნული ბანკი 2015 წლამდე ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის 5%-მდე

შემცირებას, 2017-2018 წლებისთვის კი ზემოაღნიშნული სასურველი მაჩვენებლის მიღწევას გეგმავს. ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა, გაცვლითი კურსის მოქნილობა და მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმის გაუმჯობესება ინფლაციის ტარგეტირების პოლიტიკის წარმატებით განხორციელების წინაპირობაა.

#### **- სახელმწიფო ვალის მდგრადობა**

საქართველოში სახელმწიფო ვალი არ არის დიდი. საშუალო და გრძელვადიან პერიოდში საქართველოს მთავრობის მიზანი მისი სტაბილური დონის შენარჩუნებაა მშპ-ს 40%-ის ქვემოთ. ეს კი საშუალოვადიან პერიოდში ფისკალური დეფიციტის კლების ტენდენციით მიიღწევა. საქართველოს მთავრობის საშუალოვადიანი გეგმა პირველადი დეფიციტის (2014 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი მშპ-ის 2.7%-ია) მშპ-ს 1.5-2%-მდე შემცირებას ითვალისწინებს.

სახელმწიფო ვალის ძირითადი ნაწილი უცხოურ ვალუტაშია. გაცვლით კურსთან და რეფინანსირებასთან დაკავშირებული რისკების შესამცირებლად საქართველოს მთავრობის ვალის მართვის პოლიტიკა მიზნად ისახავს ვალის მთლიან მოცულობაში ეროვნულ ვალუტაში გამოსახული ვალის წილის ზრდას. ამის მიღწევა სამთავრობო ობლიგაციების ვადიანობის გაზრდით და ამ ცვლილებასთან დაკავშირებული ხარჯების გათვალისწინებით იქნება შესაძლებელი. საქართველოს მთავრობა უფრო მეტად დაეყრდნობა სესხის შიდა ბაზარს, თუმცა, იმგვარად, რომ სესხების გაზრდამ არ შეზღუდოს კერძო სექტორის დაკრედიტება.

#### **- საგადასახადო პოლიტიკა**

საქართველოს მთავრობის მიზანია, შექმნას სტაბილური საგადასახადო სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს მდგრად ეკონომიკურ განვითარებას და მინიმუმამდე დაიყვანს ეკონომიკურ რყევას. იმისთვის, რომ საქართველოს კვლავაც ჰქონდეს ბიზნესის წარმოების თვალსაზრისით მიმზიდველი ქვეყნის სტატუსი, მიმდინარე მცირე საგადასახადო წნეხის პრაქტიკა მომავალშიც იქნება შენარჩუნებული. აღნიშნული შეესაბამება საქართველოს ორგანულ კანონს „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“, რომლის თანახმადაც გადასახადის არსებული განაკვეთის ზრდა ან ახალი გადასახადის შემოღება მხოლოდ რეფერენდუმის გზით არის შესაძლებელი.

ამ პირობებში საქართველოს მთავრობის ძირითადი ძალისხმევა საგადასახადო სისტემის სტაბილურობის შენარჩუნებისა და საგადასახადო ადმინისტრირების გაძლიერებისკენ იქნება მიმართული.

#### **გარე რისკები**

##### **- მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის თანმიმდევრული შემცირება**

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის მაღალი დონე საქართველოში მაკროეკონომიკური მოწყვლადობის პოტენციური წყაროა. მუდმივი დეფიციტის არსებობის გამო წმინდა უცხოური ვალდებულებები მშპ-ის თითქმის 100%-ს შეადგენს. მაღალი დეფიციტი და გარე რეფინანსირების საჭიროება კაპიტალის შემოდინების პროცესში მოულოდნელი ცვლილებების შემთხვევაში, საქართველოს

მოწყვლადობას ზრდის. ამას გარკვეულწილად აბალანსებს შეღავათიანი სახელმწიფო ვალის მნიშვნელოვანი წილი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და კომპანიათაშორისი სესხები, რაც გარე დაფინანსების უფრო სტაბილურ წყაროს წარმოადგენს. საქართველოს მთავრობის საშუალოვადიანი პოლიტიკა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის მდგრად ნიშნულამდე შემცირებას ითვალისწინებს. 2020 წლამდე საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიული მიზანი მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის 6%-იანი მაჩვენებლის და შემდგომი კლების ტენდენციის მიღწევაა.

ამასთან, ქვეყნის საგარეო პოზიციების მდგრადობის მიზნით საქართველოს მთავრობა ხელს შეუწყობს ისეთი გრძელვადიანი კაპიტალის შემოდინებას, როგორცაა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და დონორების დაფინანსება.

#### **- ვალის სტაბილიზირების შესაბამისი მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დონის შენარჩუნება**

მთლიანი საგარეო ვალის მიმართება მშპ-სთან მაღალია. საქართველოს მთავრობის პრიორიტეტია სტაბილური გახადოს და შემდგომ შეამციროს ეს მაჩვენებელი. ამ მიზნით, საქართველოს მთავრობა შეინარჩუნებს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ისეთ მაჩვენებელს, რომელიც საშუალოვადიან პერიოდში უზრუნველყოფს საგარეო ვალის სტაბილურობას, გრძელვადიან პერიოდში კი მის შემცირებას განაპირობებს.

- მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემცირების პოლიტიკა

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემცირება პოლიტიკის სამ მიმართულებაზე იქნება დაფუძნებული: საშუალოვადიან პერიოდში ფისკალური კონსოლიდაცია, ერთობლივი მოთხოვნის შეკავების მიზნით, გაცვლითი კურსის მეტი მოქნილობა და ექსპორტის ხელშეწყობის და კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად სტრუქტურული რეფორმების გატარება. ექსპორტის განსავითარებლად საქართველო შეინარჩუნებს საერთაშორისო ვაჭრობისადმი გახსნილობის პრინციპს, გაატარებს ღონისძიებებს პარტნიორებთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების ეფექტიანად შესასრულებლად, კვლავაც განახორციელებს რეგიონში ვაჭრობის განვითარების პოლიტიკას და ხელს შეუწყობს ქართული პროდუქტისთვის მეზობელ ქვეყნებთან ვაჭრობისას ხელოვნური ბარიერების აღმოფხვრას.

- გარე ბუფერი

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის მაღალი მაჩვენებლის და მაღალი ფინანსური დოლარიზაციის პირობებში, გარე შოკისგან თავის დასაზღვევად საქართველო საერთაშორისო რეზერვების სათანადო დონეს შეინარჩუნებს. ინფლაციის ტარგეტირების და მოქნილი გაცვლითი კურსის პოლიტიკის პირობებში საქართველოს ეროვნული ბანკის მიზანია ქვეყნის საერთაშორისო რეზერვების მინიმალური დონე იმპორტის 3.5-4 თვის ჯერად მაჩვენებელზე შეინარჩუნოს.

- გაცვლითი კურსი

საქართველო თავისუფლად მცურავი გაცვლითი კურსის პოლიტიკას ატარებს, რომელიც ავტომატურად მასტაბილიზებელი ფუნქციით კარგად ესადაგება

საქართველოს ეკონომიკას. მცურავი გაცვლითი კურსი ეკონომიკურ ინდიკატორებზე გარე შოკის ზეგავლენის შემამსუბუქებელ გარემოებას წარმოადგენს. მოსალოდნელია, რომ საქართველოს ეკონომიკა მეზობელი ქვეყნების ეკონომიკაზე უფრო სწრაფად გაიზრდება, რაც განაპირობებს გრძელვადიან პერიოდში ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის გამყარებას. ამ გარემოების გათვალისწინებით, კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად, სწორედ, მონეტარულმა პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს მეზობელ ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში რეალური გაცვლითი კურსის გამყარება მწარმოებლურობის ზრდის ტემპზე ნაკლები ტემპით.

### **ინსტიტუციური საკითხები**

#### **-ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა**

მონეტარული პოლიტიკის დამოუკიდებლობა მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფუნდამენტური პრინციპია, რომელსაც მტკიცედ იცავს საქართველოს მთავრობა. საქართველოს ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილია საქართველოს ორგანული კანონით, კერძოდ, საქართველოს მთავრობა არ ერევა და არც მომავალში ჩაერევა მის საქმიანობაში.

#### **-ფინანსური სტაბილურობა**

საქართველოს მთავრობა ფინანსური ზედამხედველობის ინსტიტუტებთან ერთად განავითარებს ეფექტიან, გამჭვირვალე და მდგრად ფინანსურ სექტორს.

#### **-ბიუჯეტის ყოვლისმომცველობა**

დანახარჯების უკეთესად კონტროლისა და რესურსების ეფექტიანი განაწილების მიზნით, ბიუჯეტს უნდა ჰქონდეს ყოვლისმომცველი ხასიათი. მან უნდა მოიცვას საქართველოს მთავრობის ყველა შემოსავალი და ხარჯი, ცალკეული სამთავრობო პროგრამების მართვის თავისებურებებისა და ხარჯების განხორციელების სამართლებრივი საფუძვლების მიუხედავად. ამ მიზნით, საქართველოს მთავრობა გეგმავს ბიუჯეტში საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ყველა სახის დივიდენდების ჩართვას. ბიუჯეტის ყოვლისმომცველობა გაზრდის სახელმწიფო დანახარჯების ეფექტიანობას და საქართველოს მთავრობას ბიუჯეტის დეფიციტის შემცირების შესაძლებლობას მისცემს.

#### **-ფისკალური რისკების მონიტორინგის სისტემა**

საქართველოს გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად უმნიშვნელოვანესია ფისკალური რისკების მართვა. საქართველოს მთავრობა გააგრძელებს სახელმწიფო გარანტიების გაუცემლობის პოლიტიკას, ამასთანავე, შეიმუშავებს ფისკალური რისკების მართვის ეფექტიან სისტემას - რისკების გამოვლენის, შეფასების და ნეგატიური ეფექტების შემსუბუქების მიზნით.

#### **-გრძელვადიანი ფისკალური დაგეგმვა**

საბიუჯეტო პოლიტიკა საშუალოვადიან სტრატეგიულ დაგეგმვას ეფუძნება. საშუალოვადიანი გეგმები ფისკალური მდგრადობის მისაღწევად იქნება გამოყენებული. საქართველოს მთავრობა გააუმჯობესებს პროგრამული ბიუჯეტის მიღების პროცესს, რითაც უზრუნველყოფს ბიუჯეტის შესრულებას.



### **-საჯარო-კერძო პარტნიორობა**

საქართველოს მთავრობა გეგმავს შექმნას ეფექტიანი მექანიზმი საჯარო-კერძო პარტნიორობისთვის, რაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურის და ჰიდროენერგეტიკულ სექტორებში ინვესტიციების მოსაზიდად. ამავდროულად, საქართველოს მთავრობა ყურადღებით შეაფასებს საჯარო-კერძო პარტნიორობასთან დაკავშირებულ ფისკალურ რისკებს მათი უკეთ მართვის მიზნით.

### **-დონორები**

საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა მუშავდება საერთაშორისო დონორებთან მჭიდრო თანამშრომლობით. საქართველო ახორციელებს მიმდინარე პროგრამას საერთაშორისო სავალუტო ფონდთან. საქართველოს მთავრობა გეგმავს, მოითხოვოს ახალი პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს გრძელვადიან ჩართულობას და მუდმივი კონსულტაციების გამართვას.

### **ფისკალური წესები**

საქართველოს მთავრობის სტრატეგიული ხედვის უმთავრეს პრინციპს სანდო და პასუხისმგებლობის მქონე მთავრობის რეპუტაციის შექმნა წარმოადგენს. საქართველოს აქვს ფისკალურ პოლიტიკაზე თვითდაწესებული და ხანგრძლივი შეზღუდვა საბიუჯეტო აგრეგატების რიცხოვრივი ლიმიტების სახით. წესების სანდოობის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს მთავრობამ ზოგიერთი ფისკალური წესი კანონმდებლობაში ასახა. საქართველოს ფისკალური სისტემის 4 ფისკალური წესი ნათლად არის გაწერილი კანონმდებლობაში:

**საბიუჯეტო ბალანსის წესები** - ორგანული კანონი განსაზღვრავს ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის ზედა ზღვარს მშპ-ის 3%-ის ოდენობით.

**ვალის წესები** - საჯარო სექტორის ვალი, როგორც მუდმივი პროცენტული მაჩვენებელი მშპ-სთან მიმართებით.

**ხარჯვის წესები** - ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილისთვის დადგენილია ზედა ზღვარი მშპ-ის 30%-ის ოდენობით.

**შემოსავლების წესები** - ორგანული კანონი კრძალავს ნებისმიერი გადასახადის განაკვეთის გაზრდას, გარდა აქციზისა.

გარდა ამისა, საქართველოს მთავრობა ხელმძღვანელობს სხვა ფისკალური წესებით, რომლებიც არ არის გათვალისწინებული კანონმდებლობით, მაგრამ ფისკალური პოლიტიკის ძირითად პრინციპებად მიიჩნევა:

1. ფისკალური დეფიციტის კლებადი ტენდენცია;
2. საჯარო ინვესტიციების 10%-ზე მაღალი რეალური ზრდის ტემპი;
3. დაუგეგმავმა შემოსავალმა არ უნდა მოახდინოს გავლენა სტრუქტურულ დეფიციტზე.

### **ეფექტიანი საჯარო მმართველობა**

სტრატეგიის წარმატებით განსახორციელებლად საჭიროა სახელმწიფო უწყებების კოორდინირებული მუშაობა და დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა. საჯარო პოლიტიკის მართვის ინსტიტუციური შესაძლებლობები,

რომლებიც პოლიტიკის შემუშავებას, სტრატეგიულ დაგეგმვას, შეფასების და მონიტორინგის მექანიზმების განვითარებას ითვალისწინებს, თანდათან გაძლიერდება საჯარო სექტორში. სახელმწიფო ხელს შეუწყობს ადამიანური რესურსების მართვის სისტემის განვითარებასაც, რათა საჯარო სამსახური გახდეს სტაბილური და მოიზიდოს კვალიფიციური კადრები შესაბამისი მატერიალური და კარიერული მოტივაციის საფუძველზე. ეფექტიანი საჯარო მმართველობა გულისხმობს ქვეყნის საგადასახადო სისტემის დახვეწას საბიუჯეტო სტაბილურობის დაცვისა და ბიზნესისათვის საგადასახადო გარემოს გაუმჯობესების მიზნით.

### **ამ მიზნების მისაღწევად საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს:**

- საჯარო პოლიტიკის მართვის ინსტიტუციური მექანიზმების სრულყოფას და მათი კავშირის გაძლიერებას სახელმწიფო ბიუჯეტთან. საქართველოს მთავრობა აქტიურად გამოიყენებს პოლიტიკის ანალიზის, სტრატეგიული დაგეგმვის და პოლიტიკის შეფასების იმ ინსტრუმენტებს, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტს უკავშირდება;

- ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის გამოყენებას კაპიტალური პროექტების შეფასებისას, რაც სახელმწიფო ფინანსების ეფექტიანობის ზრდას განაპირობებს;

- სახელმწიფო პოლიტიკის გამჭვირვალობას, სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გზით;

- სუბნაციონალური ხელისუფლებების ინსტიტუციური შესაძლებლობების ზრდის ხელშეწყობას ადგილებზე საჯარო მომსახურების უფრო ეფექტიანი მიწოდებით, სტრატეგიული დაგეგმვისა და საოპერაციო გეგმების განხორციელებით, ინვესტიციების მოზიდვისა და ინოვაციების დანერგვით.

### **1. კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობა**

საქართველოს განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდის დიდი პოტენციალი აქვს. ეს მიიღწევა კონკურენტუნარიანობის ზრდის შემაფერხებელი ფაქტორების დაძლევით და განვითარების იმ პერსპექტივების გათვალისწინებით, რომლებიც ქვეყანას ამ ეტაპზე აქვს. ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპს, რომლის შედეგები მოსახლეობის ფართო ფენისთვის იქნება ხელმისაწვდომი, კონკურენტუნარიანი კერძო სექტორი უზრუნველყოფს.

საქართველოს ეკონომიკა ბოლო წლების განმავლობაში (2004-2012 წლებში) საშუალოდ 6%-ით გაიზარდა. ამ ტემპის მიღწევა შესაძლებელი გახდა ეკონომიკის ლიბერალიზაციისკენ მიმართული რეფორმებით. ამასთან, ეს რეფორმები საკმარისი არ აღმოჩნდა მწარმოებლურობის, კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის და შესაბამისად, გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის საფუძვლის შესაქმნელად.

მწარმოებლურობის ზრდა ნაკლებად შეეხო მრეწველობას, შესაბამისად, მეტად გაიზარდა ეკონომიკის სხვა სექტორები. მრეწველობის განვითარების დონე და მისი საექსპორტო პოტენციალი კვლავ დაბალია. ექსპორტი არადივერსიფიცირებულია, მცირეა მისი დამატებული ღირებულება, სუსტია ახალ

ბაზრებზე შეღწევის და დამკვიდრების მაჩვენებლები. ამის შედეგია დასაქმების ზრდის ძალზე დაბალი ტემპი. ეს ცხადყოფს, რომ ქვეყნის ეკონომიკისა და კერძო სექტორის, როგორც მისი ძირითადი მამოძრავებელი კომპონენტის, საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა სუსტია.

სტრატეგიის ძირითადი ამოცანაა აღმოფხვრას ის ბარიერები, რომლებიც აფერხებს კერძო სექტორის მწარმოებლურობის და შესაბამისად, მისი კონკურენტუნარიანობის სტაბილურ ზრდას.

„საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება“, რომლის განუყოფელი ნაწილია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ჩამოყალიბება, მიზნად ისახავს ევროკავშირის შიდა ბაზარზე საქართველოს ეტაპობრივ ეკონომიკურ ინტეგრაციას და ახალ პერსპექტივებს ქმნის ქართული კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად. აღნიშნული პროცესი ითვალისწინებს ვაჭრობის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობისა და ინსტიტუტების ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის შესაბამის რეგულაციებთან და სისტემებთან. შესაბამისად, საქართველოს საქონელს და მომსახურებას გზა გაეხსნება ევროკავშირის შიდა ბაზარზე, შეიქმნება ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენების საფუძველი, მოიმატებს ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობა და გაიზრდება ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვის ახალი შესაძლებლობები.

## **საინვესტიციო და ბიზნესგარემოს გაუმჯობესება**

### **არსებული სიტუაცია**

ხელსაყრელი სამეწარმეო და საინვესტიციო გარემო მნიშვნელოვნად მოქმედებს მწარმოებლურობაზე, რამდენადაც პირდაპირ ზეგავლენას ახდენს კერძო სექტორში რესურსების ეფექტიან განაწილებაზე. მძაფრი გლობალური კონკურენციის და დინამიკური ეკონომიკური პროცესების გამო სწრაფად იცვლება ბიზნესის მოთხოვნები. შესაბამისად, აუცილებელია სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებაზე მუდმივი ზრუნვა.

2004 წლიდან საქართველოში ეკონომიკის ლიბერალიზაციისკენ მიმართული რეფორმები დაიწყო. ამ რეფორმების განხორციელებამ აღმოფხვრა ბიუროკრატიული ბარიერები და შეამცირა საგადასახადო ტვირთი. მსოფლიო ბანკის ბიზნესის წარმოების ანგარიშის (Doing Business 2014) მიხედვით საქართველო ბოლო წლებში ერთ-ერთ მოწინავე რეფორმატორ ქვეყნად აღიარეს. ამჟამად ქვეყანას ბიზნესის წარმოების სიმარტივის მაჩვენებლით 185 ქვეყანას შორის მე-8 ადგილი უკავია.

მიუხედავად ამისა, ცალკეულ სფეროში არსებობს სერიოზული პრობლემები, რაც ხელს უშლის კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას. დღეისთვის კვლავ პრობლემას წარმოადგენს ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის უზრუნველყოფა, ასევე, გადახდისუნარიანობასთან, კომერციული დავის გადაწყვეტასა და ბიზნესის წარმოებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

არსებული სირთულეები, მთლიანობაში, აუარესებს სამეწარმეო გარემოს, ამცირებს ინვესტორთა ნდობას და ნაკლებად ეფექტიანს ხდის სხვა სფეროებში ჩამოყალიბებულ ქმედით მექანიზმებს. მაგალითად, მსოფლიო ბანკის ბიზნესის წარმოების ანგარიშში (Doing Business 2014) საქართველო პირველ ადგილს იკავებს მსოფლიოში ქონების რეგისტრაციის სიმარტივის მიხედვით, თუმცა, ეს ნაკლებად მნიშვნელოვანია, როდესაც საკუთრების უფლება არ არის სათანადოდ დაცული და მასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავის სწრაფად გადაწყვეტის შესაძლებლობა მნიშვნელოვნად შეზღუდულია.

სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოსთან დაკავშირებულ პრობლემებზე სხვადასხვა საერთაშორისო შეფასება და ანგარიში მიუთითებს. კერძოდ, გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში, 2013-2014 წლების მონაცემების მიხედვით, საქართველოს შემდეგი მაჩვენებლები აქვს:

- საკუთრების უფლების დაცვა - 120-ე ადგილი;
- დავის გადაწყვეტის სამართლებრივი ჩარჩოს ეფექტიანობა - 92-ე ადგილი;
- ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ეფექტიანობა - 138-ე ადგილი;
- ადგილობრივი კონკურენციის ინტენსივობა - 123-ე ადგილი;
- ბაზარზე დომინირების მასშტაბები - 119-ე ადგილი.

მარეგულირებელი გარემოს გაუმჯობესება, ასევე, ასახულია მსოფლიო ბანკის ბიზნესის წარმოების ანგარიშში (Doing Business 2014), რომლის მიხედვითაც, საქართველოს მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელი აქვს, თუმცა, ამ კუთხით ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებობს გარკვეული პრობლემები, მაგალითად, გადახდისუუნარობასთან და კრედიტორთა მოთხოვნის დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც გაუმჯობესებას საჭიროებს. ისინი ასახულია ბიზნესის წარმოების ანგარიშში, რომლის მიხედვით საქართველო შემდეგ პოზიციებს იკავებს:

- გადახდისუუნარობის პროცედურები - 88-ე ადგილი;
- კრედიტორთა მოთხოვნის დაკმაყოფილების დონე (%) – 33,6%, მაშინ როდესაც, აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალური აზიის რეგიონში საშუალო მაჩვენებელი არის 37,1%, ხოლო OECD-ის წევრ ქვეყნებში საშუალოდ - 70.6%.

სახელმწიფომ უნდა გადადგას ქმედითი ნაბიჯები არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად და გრძელვადიან პერსპექტივაში სტაბილურად მიმზიდველი სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს შესანარჩუნებლად. აღსანიშნავია, რომ „საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება“ საქართველოს ინვესტიციების მოზიდვის კუთხით, ახალ შესაძლებლობებს გაუხსნის.

მიმზიდველი სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს უზრუნველსაყოფად აუცილებელია რიგი საკანონმდებლო და ინსტიტუციური ცვლილებების განხორციელება, მათ შორის, სასამართლო სისტემის გაძლიერების ხელშეწყობა. ძლიერი და დამოუკიდებელი სასამართლო სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების, ასევე საკუთრების უფლებების დაცვის უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს. საქართველოს მთავრობა დაიცავს ბიზნესს არალეგიტიმური

ჩარევისაგან. აღნიშნულ სფეროში საქართველოს მთავრობის მიზანს დღეისთვის მიღწეული შედეგების შენარჩუნებით არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრა წარმოადგენს.

### **საინვესტიციო და ბიზნესგარემოს გაუმჯობესების მიზნით განსახორციელებელი პოლიტიკის მიმართულებები**

ბიზნესის დაწყებისა და წარმოებისთვის საქართველოს მთავრობა ყველა ადამიანს თანაბარ შესაძლებლობას შეუქმნის და ამ პროცესში მმართველობის გამჭვირვალობას უზრუნველყოფს. იგი იქნება საკუთრების უფლების დაცვის მთავარი გარანტი. ამავე დროს ხელს შეუწყობს ბიზნესომბუდსმენის როლის გაძლიერებას საკუთრების უფლების დაცვისა და კომერციული დავის გადაწყვეტის საკითხებთან მიმართებით.

საქართველოს მთავრობა შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავებით/წარდგენით, ასევე, ადმინისტრირების გაუმჯობესებით, უზრუნველყოფს რეფორმების ეფექტიან განხორციელებას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას.

საქართველოს მთავრობის საგადასახადო პოლიტიკა უზრუნველყოფს კერძო სექტორისა და უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად, ასევე, ბიზნესის დაწყებისა და განვითარებისათვის მიმზიდველი და სტაბილური საგადასახადო გარემოს შექმნას. „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ ფარგლებში განხორციელდება საბაჟო კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან, შემცირებული იქნება საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანა, რაც შესაბამისობაშია „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ ფარგლებში საქართველოს მიერ აღებულ ვალდებულებებთან.

გადასახადის გადამხდელის ყველა ძირითადი ვალდებულება განისაზღვრება მხოლოდ კანონით. გამარტივდება გადასახადის ადმინისტრირება და განხორციელდება საგადასახადო სანქციების ოპტიმიზაცია. მოხდება ცალკეული კატეგორიის ეკონომიკური დანაშაულის დეკრიმინალიზაცია. ეტაპობრივად შემცირდება საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული საგადასახადო მოთხოვნის წარდგენის ხანდაზმულობის ვადები. სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის სამართლებრივი ურთიერთობა თანასწორობის პრინციპებს დაეფუძნება.

### **საკუთრების უფლების დაცვის გაძლიერება**

საკუთრების უფლების განუხრელი დაცვა საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი გაცხადებული პრიორიტეტია. საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული საკუთრების უფლების დაცვის გასაძლიერებლად საჭიროა სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა და მოსამართლეთა შემდგომი პროფესიული განვითარება. საკუთრების უფლების დაცვის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის მექანიზმების სრულყოფაც.

მეწარმეობის განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერა

საქართველოში წარმოებული პროდუქტისა და მომსახურების კონკურენტუნარიანობის ზრდას ბიზნესსექტორის მხარდაჭერა განაპირობებს. „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით“ გათვალისწინებული საკანონმდებლო და ინსტიტუციური დაახლოება, თავის მხრივ, ითვალისწინებს ბიზნესსაქმიანობის შესაბამისობას ევროკავშირის მოთხოვნებთან და ნორმებთან. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო უზრუნველყოფს ბიზნესსექტორის ინფორმირებულობას შეთანხმების ფარგლებში განსახორციელებელ ღონისძიებებთან და ასევე, ევროკავშირის სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებით. ამასთან, სახელმწიფო შეიმუშავებს ეფექტიან მექანიზმებს ბიზნესის, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად, რეგულირებასთან შესაბამისობის ხარჯების შემცირებისა და მათი კონკურენტუნარიანობის ზრდის მიზნით.

ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ზრდა დამოკიდებულია სამეწარმეო უნარების განვითარება/ამაღლებაზე. აქედან გამომდინარე, სსიპ - მეწარმეობის განვითარების სააგენტოს საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება დამწყები და მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლების სამეწარმეო უნარების განვითარება იქნება.

მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა მოსწავლეებისა და სტუდენტების სამეწარმეო უნარების გაძლიერებას საგანმანათლებლო დაწესებულებებში, განსაკუთრებით პროფესიული განათლების საფეხურზე.

### **კომერციული დავის ეფექტიანად გადაწყვეტის მექანიზმების გაძლიერება**

ბიზნესის ეფექტიანი ფუნქციონირების და კონკურენტუნარიანობის ზრდისთვის მნიშვნელოვანია, სასამართლოების კომპეტენციისა და შესაძლებლობების გაუმჯობესება კომერციული დავის გადაწყვეტის კუთხით. საქართველოს მთავრობა ხელს შეუწყობს დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის (Alternative Dispute Resolution - ADR) - არბიტრაჟების - განვითარებას მსოფლიოში არსებული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად. ეს კი არბიტრების კომპეტენციის ზრდას და არბიტრაჟის დამოუკიდებლობას უზრუნველყოფს.

### **საინვესტიციო კანონმდებლობის დახვეწა**

საქართველოში მოქმედი საინვესტიციო კანონმდებლობა მოძველებულია და აღარ შეესაბამება არსებულ რეალობას. უფრო მეტიც, არსებული ნორმები გაბნეულია რამდენიმე ნორმატიულ აქტში და ჯეროვნად არ ასახავს ინვესტორის უფლებებსა და გარანტიებს, ასევე, ინვესტიციების მოზიდვის წამახალისებელ ღონისძიებებს. საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს არსებული საინვესტიციო კანონმდებლობის შეცვლას ახალი, საერთაშორისო ნორმებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისი კანონმდებლობით.

**თავისუფალი კონკურენციის საკანონმდებლო და ინსტიტუციური მექანიზმების გაუმჯობესება**

თავისუფალი ვაჭრობის და კონკურენციის უზრუნველსაყოფად საქართველოს მთავრობა გააუმჯობესებს საკანონმდებლო და ინსტიტუციურ მექანიზმებს და დანერგავს საუკეთესო ევროპულ პრაქტიკას „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ შესაბამისად. კონკურენციის კანონმდებლობა დაეყრდნობა კარტელური გარიგებების, კონკურენციის შემზღუდავი შეთანხმებების და დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აღმოფხვრის ეფექტიან ნორმებს და აღსრულების მექანიზმებს. ამავე დროს აუცილებელია, რომ კონკურენციის კანონმდებლობა არ ქმნიდეს ხელოვნურ ბარიერებს კომპანიების ზრდისა და განვითარებისთვის.

ქვეყანაში კონკურენტული გარემოს შესაქმნელად ხელი შეეწყობა სასამართლოს შემდგომ გაძლიერებას კონკურენციასთან დაკავშირებული დავის სამართლიანად გადაწყვეტისა და შესაბამის საკითხებზე მოსამართლეთა ცოდნის გაღრმავების მიზნით.

### **გადახდისუუნარობის და ბიზნესის დახურვის მექანიზმების სრულყოფა**

იმისათვის, რომ ხელი შეეწყოს ბიზნესის ეფექტიან ფუნქციონირებას და მის კონკურენტუნარიანობას, ბიზნესის დაწყების სიმარტივესთან ერთად საჭიროა ბიზნესის დახურვის პროცესის გამარტივებაც. ბიზნესის დახურვის გამარტივება გაადვილებს კომპანიების გადანაცვლებას ნაკლებად ეფექტიანი სფეროდან უფრო ეფექტიან სფეროში და შესაბამისად, ხელს შეუწყობს კომპანიების ზრდას და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. ბიზნესსაქმიანობასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული პროცედურების შემდგომი გამარტივების მიზნით, საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს ბიზნესის დახურვასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და აღსრულების მექანიზმების დახვეწას. ასევე, გადახდისუუნარობის პროცესში კრედიტორთა მოთხოვნის დაკმაყოფილების დონის ასამაღლებლად მოხდება კანონმდებლობის და აღსრულების შესაბამისი მექანიზმების გაუმჯობესება.

### **სახელმწიფო მომსახურებების გაუმჯობესება და საჯარო მმართველობის გამჭვირვალობის ზრდა**

ბიზნესის ეფექტიან ფუნქციონირებას სახელმწიფოს მიერ მიწოდებულ სხვადასხვა მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის ზრდა და ასევე ადმინისტრაციულ პროცედურებზე გაწეული დროითი დანახარჯების შემცირება განაპირობებს. ამ მიზნით, საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ გაწეული მომსახურების გაუმჯობესებას, მათ შორის, ელექტრონული მომსახურების განვითარებას და ელექტრონული მმართველობის სისტემის გაფართოებას. საქართველო გაეროს ელ-მმართველობის (e-governance) ინდექსის მიხედვით 72-ე ადგილზეა.

გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად გაიზრდება საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, გაღრმავდება დიალოგი სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის, რამაც უნდა უზრუნველყოს ბიზნესის ჩართულობა ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების

პროცესში. ამ მიზნით, გაზიარებული იქნება სახელმწიფოს და ბიზნესს შორის თანამშრომლობის საუკეთესო პრაქტიკა.

### მოქნილი რეგულირების უზრუნველყოფა

სახელმწიფოს მიზანია, მიაღწიოს ბიზნესის იმგვარ რეგულირებას, რომელიც ხელს შეუწყობს თავისუფალი ბაზრისა და მეწარმეობის განვითარებას. არსებულმა და მომავალმა რეგულაციებმა არ უნდა შეზღუდოს ბიზნესსაქმიანობა მისთვის დამატებითი პრობლემის შექმნით. ამისთვის საქართველოს მთავრობა დახვეწს რეგულირების გავლენის შეფასების (RIA) სისტემას, რომლის მიზანს როგორც ახალი საკანონმდებლო ინიციატივების, ასევე, არსებული საკანონმდებლო აქტების ბიზნესგარემოზე გავლენის შეფასება წარმოადგენს.

### მოსალოდნელი შედეგები

ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელებამ მნიშვნელოვნად უნდა გააუმჯობესოს ქვეყნის სამეწარმეო და საინვესტიციო გარემო, რაც წაახალისებს ბიზნესის წამოწყებას, არსებული ბიზნესის გაფართოებასა და დივერსიფიკაციას, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, უცხოური ინვესტიციების ნაკადების გაზრდას, მწარმოებლურობის დონის ამაღლებას, ასევე, შესაბამის საერთაშორისო რეიტინგებსა და შეფასებებში ქვეყნის პოზიციების გაუმჯობესებას.

მიზნები საინვესტიციო და ბიზნესის გარემოს გაუმჯობესებისთვის

| მაჩვენებელი  | საბაზისო* | 2017 | 2020 |
|--|-----------|------|------|
| მთლიანი ინვესტიციები (წილი მშპ-ში, %)                              | 24        | 30   | 35   |
| გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი (GCI) (საქართველოს პოზიცია) | 72        | 58   | 40   |
| რეგულირების ხარისხი (WGI) (ქულა)                                   | 0.68      | 0.72 | 0.78 |

\* უახლესი ხელმისაწვდომი მაჩვენებელი

### ინოვაცია და ტექნოლოგიები არსებული სიტუაცია

საქართველოში წარმოებულ საქონელს აქვს დაბალი დამატებული ღირებულება. ამ ეტაპზე შედარებით განვითარებულია მხოლოდ გადამამუშავებელი მრეწველობა, რომელიც პირდაპირ არის მიზმი საქართველოში მოპოვებულ ბუნებრივ რესურსებზე და სოფლის მეურნეობის ადგილობრივ ნაწარმზე. ამის მიზეზია ტექნოლოგიური განვითარებისა და ინოვაციის დაბალი დონე, რაც ამავე



დროს განაპირობებს ბუნებრივი რესურსების არარაციონალურ გამოყენებას და საფრთხეს უქმნის ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეს.

ქვეყანაში დაბალია როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორის დანახარჯები კვლევასა და განვითარებაზე, რაც ასახულია სხვადასხვა საერთაშორისო შეფასებასა და რეიტინგში. ინოვაციის გლობალურ ინდექსში (GII 2013) საქართველო მსოფლიოში 73-ე ადგილზეა, ხოლო 2012 წლის ინოვაციების შესაძლებლობის ინდექსში (ICI) 131 ქვეყანას შორის 44-ე ადგილი უკავია. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში (GCI) 2013-2014 წლების მდგომარეობით, საქართველო 148 ქვეყანას შორის შემდეგ პოზიციებს იკავებს:

- ინოვაციის განხორციელების შესაძლებლობების მაჩვენებელი - 118-ე ადგილი;
- კომპანიების დანახარჯები კვლევასა და განვითარებაზე (R&D) - 128-ე ადგილი.

დაბალია როგორც თანამედროვე ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა, ასევე, ტექნოლოგიური განვითარების დონე. ამავე ინდექსის მიხედვით, საქართველოს შემდეგი მაჩვენებლები აქვს:

- უახლესი ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა - მე-100 ადგილი;
- ახალი ტექნოლოგიების დანერგვა კომპანიების მიერ - 117-ე ადგილი.

არადამაკმაყოფილებელია ინტელექტუალური საკუთრების დაცვის დონე, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ინოვაციების განსახორციელებლად. საქართველო ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კომპონენტით 124-ე ადგილზეა.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად არაერთი ღონისძიება გატარდა, მოსახლეობის მიერ ამ საშუალების გამოყენების მაჩვენებელი კვლავ არადამაკმაყოფილებელია. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით (2013-2014) საქართველო შედარებით უკეთეს, თუმცა, კვლავ არასახარბიელო პოზიციაზეა:

- მოსახლეობის მიერ ინტერნეტის გამოყენება - 71-ე ადგილი;
- 100 მოსახლეზე მაღალსიჩქარიანი მონაცემთა გაცვლის ქსელზე ხელმისაწვდომობა - 65-ე ადგილი.

ქსელური მზადყოფნის ინდექსის (Networked Readiness Index -NRI) მიხედვით 2013 წელს საქართველო 65-ე ადგილზეა.

### **ინოვაციის და ტექნოლოგიური განვითარების დონის ასამაღლებლად განსახორციელებელი პოლიტიკის მიმართულებები**

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის მთავარ ამოცანას ინოვაციური საქმიანობის და უახლესი ტექნოლოგიების გადაცემის და დანერგვის კომპლექსური ხელშეწყობა წარმოადგენს როგორც ეროვნულ, ისე რეგიონულ დონეზე. სახელმწიფო წახალისებს გარემოს დაცვაზე ორიენტირებული თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას და „მწვანე ეკონომიკის“ განვითარებას.

სახელმწიფო შეარჩევს და მხარს დაუჭერს ცალკეულ ინოვაციურ და განსაკუთრებული (თანმდევ) სოციალურ-ეკონომიკური ეფექტის მქონე სამრეწველო პროექტებს.

პროექტების განხორციელებისას, საქართველოს მთავრობა იხელმძღვანელებს ისეთი პრინციპებით, როგორებიცაა ინოვაციურობა, ექსპერიმენტულობა და მდგრადობა, გამჭვირვალობა და წარმატების კრიტერიუმების სიცხადე, სახელმწიფო და კერძო სექტორის პარტნიორობა.

### **კვლევისა და განვითარებისათვის საჭირო ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და მათი კომერციალიზაციის ხელშეწყობა**

კერძო სექტორის განვითარების და კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად მთავრობა ხელს შეუწყობს კვლევასა და განვითარებას, რაც გულისხმობს გამოყენებითი კვლევების წარმოებაში დახმარებას მათი სახელმწიფო დაფინანსების ეფექტიანობის ზრდით, ასევე სხვა ინსტრუმენტების შემუშავებით. საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდას განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, რომლებიც, თავის მხრივ, ინოვაციის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენენ. ამ კუთხით საქართველოს მთავრობა იზრუნებს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს შესაძლებლობების გაძლიერებაზე.

კვლევების და განვითარების კომერციალიზაციის მიზნით, გაღრმავდება კავშირი კერძო სექტორსა და განათლების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სისტემას შორის გამოყენებითი კვლევისა და განვითარების ხარისხის პრაქტიკაში დანერგვისა და კომერციალიზაციის ეფექტიანობის ასამაღლებლად.

### **ინოვაციისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარება**

ინოვაციის მხარდასაჭერად საქართველოს მთავრობა ხელს შეუწყობს: შესაბამისი ინფრასტრუქტურის (ტექნოპარკები, ბიზნესინკუბატორები, რეგიონული განვითარების სააგენტოები და საინოვაციო ცენტრები) განვითარებას და სათანადო კვალიფიკაციის სამუშაო ძალის მომზადებას, კვლევის და განვითარებისთვის აუცილებელი დამხმარე ინფრასტრუქტურის სრულყოფას უმაღლესი სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებების და კვლევითი ლაბორატორიებისთვის, უმაღლესი განათლების სისტემაში სწავლისა და კვლევის პროცესების ინტეგრაციას. უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში ამოქმედდება კვლევითი საქმიანობის შედეგების მონიტორინგის ერთიანი სისტემა და შედეგზე ორიენტირებული დაფინანსების მოდელები.

### **ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის გაძლიერება**

ინოვაციების განვითარებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვას. ამ მიზნით, საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვასთან დაკავშირებული საკანონმდებლო და ინსტიტუციური ბაზის გაუმჯობესებას და

საუკეთესო პრაქტიკის დანერგვას „საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ შესაბამისად.

**ეკონომიკაში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მაქსიმალურად ფართოდ გამოყენების ხელშეწყობა**

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მაქსიმალურად ფართოდ გამოყენების ხელშეწყობა მნიშვნელოვანია როგორც ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ზრდისთვის, ასევე, მთელი მოსახლეობისთვის. სწორედ ამიტომ, საქართველოს მთავრობა იზრუნებს სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე. გარდა ამისა, უზრუნველყოფილი იქნება ქვეყნის მასშტაბით ინტერნეტზე და საინფორმაციო -საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პროდუქტებზე ხელმისაწვდობა.

**თანამედროვე ტექნოლოგიებზე ორიენტირებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა**

ინოვაციებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების მიზნით, საქართველოს მთავრობა წახალისებს ისეთი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას, რომელთა მთავარი ამოცანა მოწინავე ტექნოლოგიების შემოტანა-დანერგვა, განსაკუთრებით კი გარემოს დაცვაზე ორიენტირებული რესურსდამზოგავი ტექნოლოგიების დანერგვა და მწვანე ეკონომიკის განვითარება იქნება.

**მოსალოდნელი შედეგები**

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული პოლიტიკის მთავარ შედეგად მიიჩნევა: კომპანიების მიერ მოწინავე ტექნოლოგიების ტრანსფერისა და პრაქტიკაში დანერგვის გაძლიერება, სამეცნიერო წრეებსა და ბიზნესს შორის კავშირის გამყარება, ინოვაციების დამაკმაყოფილებელი დონის არსებობა, ამის შედეგად, ადგილობრივი წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ქართული ექსპორტის უფრო მაღალტექნოლოგიურ პროდუქტზე ორიენტაცია.

**მიზნები ინოვაციისა და ტექნოლოგიების განვითარებისთვის**

| მაჩვენებელი  | საბაზისო | 2017 | 2020 |
|--|----------|------|------|
| ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ინდექსი (KEI) (საქართველოს პოზიცია) | 68       | 55   | 45   |
| გლობალური ინოვაციების ინდექსი (GII) (საქართველოს პოზიცია)          | 73       | 65   | 60   |
| ფაქტორების მთლიანი მწარმოებლურობა (TFP) (ყოველწლიური, %)           | 2.70     | 3.00 | 3.20 |

|   |    |    |    |
|---|----|----|----|
| ინოვაციების შესაძლებლობის ინდექსი (ICI)             | 44 | 40 | 36 |
| გლობალური ინფორმაციული ტექნოლოგიების ინდექსი (GIIT) | 65 | 58 | 50 |

## ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა არსებული სიტუაცია

2004-2013 წლებში საქართველოს ექსპორტი დაახლოებით 4.5-ჯერ გაიზარდა. მიუხედავად ასეთი მასშტაბური ზრდისა, ექსპორტის დივერსიფიკაცია დაბალია, როგორც საექსპორტო ქვეყნების, ასევე, საექსპორტო პროდუქტის მიხედვით. ბოლო წლების განმავლობაში ქართულმა პროდუქტმა ახალ ბაზრებზე დაიმკვიდრა ადგილი. მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოდან მომსახურების ექსპორტი. 2010-2013 წლებში საქართველოს მთავარ საექსპორტო პროდუქტს შეადგენდა: ავტომობილები (ძირითადად რეექსპორტი), ფეროშენადნობები, სპილენძის მადნები, მინერალური წყლები, სასუქები და ზოგიერთი აგრარული პროდუქტი.

დღეისათვის ექსპორტის ძირითად ნაწილს ნედლეული წარმოადგენს. დაბალია ბაზრების დივერსიფიკაციის ტემპი, ხოლო კონკრეტული პროდუქტის და ახალ ბაზრებზე შეღწევის და დამკვიდრების მაჩვენებლები - არადადამაკმაყოფილებელი.

ექსპორტის პოტენციალის ზრდის და ევროპულ ბაზარზე ინტეგრაციისთვის, აუცილებელია, „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება. ეს ხელს შეუწყობს ქართული საექსპორტო პროდუქტის ევროკავშირის ბაზარზე შესვლასა და დამკვიდრებას, ასევე, საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების თვისობრივად ახალ საფეხურზე გადასვლას. ამასთან, მნიშვნელოვანია კერძო სექტორის ინფორმირებულობის ამაღლება შეთანხმებით გათვალისწინებულ გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით.

დიდი ყურადღება დაეთმობა აშშ-სთან სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტიით გათვალისწინებული სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების გაღრმავებას, მათ შორის, ვაჭრობასა და ინვესტიციებზე მაღალი დონის დიალოგის ფარგლებში მოლაპარაკებების დაწყებას შესაძლო თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე.

აუცილებელია საქართველოს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მაქსიმალური და ეფექტიანი გამოყენება და რეგიონული ბაზრების ათვისება, სავაჭრო პარტნიორებთან ვაჭრობაში ხელოვნური ბარიერების შემცირება.

ზემოაღნიშნული ტექნოლოგიური განვითარების დონისა და ინოვაციის პრობლემები დიდწილად განაპირობებს ექსპორტის დაბალ დივერსიფიციზირებულობას და ნაწილობრივ - ახალ ბაზრებზე დამკვიდრების სირთულეს. გარდა ამისა, კიდევ რჩება რიგი ფაქტორებისა, რომლებიც აფერხებენ ექსპორტის განვითარებას ახალ ბაზრებზე წვდომის თვალსაზრისით. კერძოდ, ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში არ იძლევა არსებული პრეფერენციული რეჟიმის ეფექტიანად გამოყენების საშუალებას; ექსპორტის წახალისების დამხმარე

ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო, პოტენციურ საექსპორტო ბაზრებს არ მიწოდებათ სათანადო ინფორმაცია ქართული პროდუქტის შესახებ. რიგ ბაზრებზე შესაძლებელია აუცილებელია უკეთესი სავაჭრო რეჟიმის არსებობა. არასათანადო სავაჭრო-ლოგისტიკური ინფრასტრუქტურა ზრდის ექსპორტირების ხარჯებს.

### **ექსპორტის ზრდის ხელშეწყობის მიზნით განსახორციელებელი პოლიტიკის მიმართულებები**

ექსპორტის გაფართოება და დივერსიფიცირება კერძო სექტორის პრეროგატივაა. კომპანიების მიერ საექსპორტო ბაზრების და მათ მიმართ არსებული მოთხოვნების შეფასებასა და გამოვლენაში საქართველოს მთავრობას შეუძლია იყოს ქმედითი პარტნიორი. მას შეუძლია არსებულ და პოტენციურ სავაჭრო პარტნიორებთან საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავება და განვითარება, საერთაშორისო ბაზრებზე ქართველი ექსპორტიორების ინტერესების დაცვა, ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის განვითარება საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად, საერთაშორისო ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შემცირება, ასევე, ექსპორტიორებისათვის საექსპორტო ბაზრების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და სატრანსპორტო და ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა.

### **ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შემცირება**

ექსპორტის განვითარების და საერთაშორისო და ევროპულ ბაზრებზე ინტეგრაციისა და საქართველოში წარმოებული პროდუქტისა და მომსახურების კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად, საქართველოს მთავრობა იზრუნებს ვაჭრობაში ჯერ კიდევ არსებული ტექნიკური ბარიერების შემცირებაზე, რაც საქართველოს კანონმდებლობას ევროპულ ნორმებთან დაახლოებს. ეს გამოიწვევს ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის განვითარებას და ხარისხის ეროვნული ინსტიტუტების ინტეგრაციას საერთაშორისო და ევროპულ სისტემებში. საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს საქართველოს მიერ „საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ ფარგლებში აღებული ვალდებულებების თანმიმდევრულ შესრულებას, მათ შორის, მეტროლოგიის, სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასების, ტექნიკური რეგულირებისა და ბაზარზე ზედამხედველობის ეროვნული სისტემების ევროპულთან შესაბამისობაში მოყვანას.

ზემოაღნიშნულთან ერთად, საქართველოს მთავრობა აქტიურად ითანამშრომლებს რეგიონის ქვეყნებთან და არსებულ სავაჭრო პარტნიორებთან ქართველი მეწარმეების მეზობელი ქვეყნების ბაზარზე შესვლასთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად. ამ მიზნით, შეიქმნა ექსპორტიორთა ინტერესების დაცვის ცენტრი, რომელიც მოიძიებს ინფორმაციას საერთაშორისო ვაჭრობაში ექსპორტზე ორიენტირებული ქართველი მეწარმეების პრობლემების შესახებ.

### **აგრარული პროდუქტის ექსპორტის ხელშეწყობა**

საქართველოს მთავრობა ხელს შეუწყობს სექტორის მოდერნიზაციას და კონკურენტუნარიანობის ზრდას. აგრარული პროდუქტის ექსპორტის პოტენციალის ზრდის მიზნით, საერთაშორისო და ევროპული ნორმების შესაბამისად, განვითარდება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და ფიტოსანიტარიის სისტემები „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ ფარგლებში აღებული ვალდებულებების ეტაპობრივი შესრულების გზით. „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებით“ აღებული ვალდებულების შესასრულებლად, ასევე, სხვა პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმიდან სარგებლის ზრდის და საქართველოში წარმოებული აგრარული პროდუქტის საერთაშორისო ბაზრებზე შეღწევის და დამკვიდრების მიზნით, საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს მეწარმეთა ინფორმირებულობის ზრდას სურსათის უვნებლობასთან, ვეტერინარიასა და ფიტო-სანიტარიასთან, „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ ფარგლებში გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით საერთაშორისო და ევროპულ ბაზრებზე არსებული მოთხოვნების და ექსპორტის შესაბამისი პროცედურების შესახებ.

საქართველოს მთავრობა მხარს დაუჭერს პროდუქტის ადგილწარმოშობის დასახელების სქემის გაფართოებას და ქართული ბრენდების შემდგომ განვითარებას.

### **ექსპორტის განვითარების დამხმარე სისტემების შექმნა**

საქართველოში წარმოებული პროდუქტისა და მომსახურების კონკურენტუნარიანობის ამაღლების, მათი საერთაშორისო ბაზრებზე დამკვიდრების მიზნით, ხელი შეეწყობა ექსპორტის განვითარების დამხმარე სისტემების შექმნას, რაც უზრუნველყოფს საქართველოს საექსპორტო პროდუქტისა და საექსპორტო ბაზრების შესახებ მეწარმეების ინფორმირებულობას. ამ სფეროში განსაკუთრებულ როლს შეასრულებს სსიპ - მეწარმეობის განვითარების სააგენტო, რომელიც საექსპორტო პოტენციალის გაძლიერების მიმართულებით იმუშავებს. სსიპ - მეწარმეობის განვითარების სააგენტო მეწარმეებს გააცნობს პოტენციურ საექსპორტო ბაზრებს, ამ ბაზრებზე არსებულ მოთხოვნებს, საერთაშორისო ბაზრებს კი მიაწვდის ინფორმაციას საქართველოში წარმოებული პროდუქტისა და მომსახურების შესახებ.

### **საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების განვითარება/გაღრმავება**

ექსპორტის პოტენციალის ზრდის და საქართველოში წარმოებული პროდუქტის და მომსახურების კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად საქართველოს მთავრობა გააღრმავებს თანამშრომლობას არსებულ და პოტენციურ სავაჭრო პარტნიორებთან პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმის განსავითარებლად.

გარდა ამისა, გაგრძელდება ინტენსიური მუშაობა აშშ-თან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად მოლაპარაკებების დაწყებისა და რეგიონულ დონეზე არსებული სავაჭრო კავშირების გაღრმავების მიზნით. საქართველოს მთავრობა ითანამშრომლებს მეზობელ სახელმწიფოებთან, რათა ქართულ პროდუქტს უცხო ბაზარზე არ შეექმნას ხელოვნური ბარიერი.

## მოსალოდნელი შედეგები

ზემოაღნიშნული ღონისძიებების მთავარი შედეგი იქნება ექსპორტის როლის ზრდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესში, რაც გულისხმობს გაზრდილ ექსპორტს და საექსპორტო პროდუქტის დივერსიფიკაციას, კომპანიების ახალ ბაზარზე შეღწევას და დამკვიდრებას. ქართული ბიზნესის საერთაშორისო ბაზრების კონკურენტულ გარემოში ინტეგრაცია გაზრდის მწარმოებლობის სტიმულს და, შესაბამისად, ხელს შეუწყობს უფრო მაღალი დამატებული ღირებულების მქონე პროდუქტის ექსპორტს.

## მიზნები ექსპორტის ზრდის ხელშეწყობისთვის

| მაჩვენებელი  | საბაზისო | 2017 | 2020 |
|--|----------|------|------|
| ექსპორტი (საქონელი და მომსახურება) მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით (%) | 45       | 55   | 65   |
| საქონლის ექსპორტის წილი მშპ-სთან მიმართებით (%)                          | 18       | 22   | 30   |
| ვაჭრობის შესაძლებლობის ინდექსი (Enabling Trade Index 2012)               | 38       | 30   | 25   |

## ინფრასტრუქტურის განვითარება და სატრანზიტო პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება

### არსებული სიტუაცია

ბოლო წლების განმავლობაში ძირითადი ინფრასტრუქტურის განვითარებაში მნიშვნელოვანი ინვესტიციები განხორციელდა, რამაც ხელი შეუწყო ქვეყნის სატრანსპორტო, ენერჯო და სხვა ძირითადი ინფრასტრუქტურული სისტემების გაუმჯობესებას. მიუხედავად ამისა, ინფრასტრუქტურა არ არის საკმარისად განვითარებული, რომ უზრუნველყოს კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ზრდა და ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება. ამასთან, ბოლო წლების განმავლობაში განხორციელებული მრავალი კაპიტალური დანახარჯი არ იყო გაწეული საუკეთესო ეკონომიკური ეფექტის მქონე ინფრასტრუქტურულ პროექტებზე.

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, შესაძლებლობა აქვს რეგიონში მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ვაჭრობასა და ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვაში. ამასთანავე, ბაზრის მცირე მოცულობიდან გამომდინარე, კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისთვის აუცილებელია მისი რეგიონულ და საერთაშორისო ბიზნესში ფართო ჩართულობა, რისი ერთ-ერთი წინაპირობაც კარგად განვითარებული სატრანსპორტო და ლოგისტიკური ინფრასტრუქტურაა.

მიუხედავად იმისა, რომ წარსულში საქართველოს სატრანზიტო შესაძლებლობები მუდმივად იზრდებოდა, არსებული პოტენციალის დიდი ნაწილი დღეისთვის კვლავ აუთვისებელია. სხვა ალტერნატიულ მარშრუტებთან შედარებით, მარშრუტი ევროპიდან საქართველოს გავლით აზიამდე და უკუმიმართულებით უფრო მოკლეა, თუმცა, ევროპიდან აზიისკენ და უკუმიმართულებით ტვირთების, მხოლოდ, მცირე რაოდენობის გადაზიდვა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიის გავლით.

მიუხედავად საგზაო და სარკინიგზო ინფრასტრუქტურაში განხორციელებული ინვესტიციებისა, დღეს არსებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გამტარუნარიანობა ვერ უზრუნველყოფს გაზრდილი ტვირთების მომსახურებას; გადაზიდვისა და ლოგისტიკური მომსახურების ფასი არაკონკურენტუნარიანია; არ არსებობს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ლოგისტიკური ცენტრები. საქართველოზე გამავალი მარშრუტის კონკურენტუნარიანობას ამცირებს ამ გზაზე არსებული მეზობელი ქვეყნების საზღვრების გადაკვეთის განსხვავებული პროცედურებიც.

ექსპორტის კუთხით არსებული პრობლემები ასახულია საერთაშორისო შეფასებებში. გლობალური კონკურენტუნარიანობის 2013-2014 წლების ინდექსის მიხედვით, საქართველო მსოფლიოში 103-ე ადგილზეა საერთაშორისო დისტრიბუციის კონტროლის კომპონენტის მიხედვით. ლოგისტიკის განვითარების ინდექსის (Logistics Performance Index) მიხედვით 2012 წელს საქართველო 155 ქვეყანას შორის 77-ე ადგილზე იყო.

ინფრასტრუქტურის განვითარების თვალსაზრისით, კვლავ პრობლემურია სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის განვითარების დონე, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის სექტორის, როგორც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის პირველადი წარმოების, ასევე, მასთან დაკავშირებული გადამამუშავებელი მრეწველობის მწარმოებლურობის და კონკურენტუნარიანობის ზრდისთვის. დღეისათვის არასათანადოაა განვითარებული საირიგაციო და სადრენაჟო ინფრასტრუქტურა.

კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად და ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის მაქსიმალურად ასათვისებლად აუცილებელია სტაბილური და ხელმისაწვდომი ენერგომიწოდება. მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის, ენერგეტიკის სექტორში არსებული მდგომარეობა ეკონომიკის განვითარებისთვის შემაფერხებელ ფაქტორად არ მიიჩნევა, აუცილებელია ადეკვატური პოლიტიკის გატარება, რათა ენერგეტიკა, მასზე გაზრდილი მოთხოვნის გამო, მომავალში არ იქცეს შემაფერხებელ ფაქტორად.

ქვეყანაში დღეისთვის წარმოებული ენერგია ადგილობრივი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად არასაკმარისია. ამის გამო, ყოველწლიურად აუცილებელი ხდება ენერჯის იმპორტი. დიდია ბუნებრივი აირის იმპორტის მოცულობა, რაც ზრდის ენერჯის ფასს და შესაბამისად - წარმოებას. დამოკიდებულება ენერჯის გარე წყაროებზე, ასევე, რისკის ქვეშ აყენებს მიწოდების სტაბილურობას.



არსებული ენერგეტიკული სიმძლავრის ზრდის გარეშე იმპორტირებული ენერგომატარებლების წილი ენერგიაზე მოთხოვნის ზრდის პარალელურად გაიზრდება. ამ დროს ქვეყნის მდიდარი ენერგორესურსები უმეტესწილად გამოუყენებელია. ენერგეტიკული მნიშვნელობით გამორჩეულ მდინარეთა (დაახლოებით 300 მდინარე) წლიური ჯამური პოტენციური სიმძლავრე 15 ათასი მეგავატის, საშუალო წლიური ენერგია კი 50 მლრდ კვტ. საათის ეკვივალენტურია, მათი პოტენციალის 80% - აუთვისებელია. გარდა ჰიდრორესურსებისა, ქვეყანაში საკმაოდ დიდია ქარისა და მზის ენერგიის პოტენციალი. არსებობს გეოთერმული წყლების მარაგი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ძვირადღირებული ენერგომომცველი პროდუქტის იმპორტის შემცირება. ჰიდრორესურსების გამოყენების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭება წყლის რესურსების ეფექტიან მართვას.

ჰიდრორესურსების ათვისება, მისი სეზონური ხასიათიდან გამომდინარე, ჭარბი ენერგიისთვის საექსპორტო ბაზრების და რეგიონალური ვაჭრობის მაქსიმალურად განვითარებას მოითხოვს. ამ ეტაპზე ექსპორტის არეალი შეზღუდულია.

იმპორტის მოცულობის შემცირების და ადგილობრივი რესურსების უკეთ გამოყენების გარდა, აუცილებელია, ენერგიაზე ხელმისაწვდომობის სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრა. ენერგოგანაწილების ინფრასტრუქტურაში არსებული ტექნიკური სირთულეები ვერ უზრუნველყოფს ენერგიის უწყვეტ და ხარისხიან მიწოდებას. ენერგოგანაწილების ქსელებთან მიერთების შედარებით რთული ადმინისტრაციული პროცედურებისა და საფასურის გამო ენერგია აღარ არის ხელმისაწვდომი. გენერაციის გაზრდისთვის საჭირო მაღალი კაპიტალური დანახარჯები ენერგიის საბოლოო ტარიფებზე აისახება. ტარიფებზე ნეგატიურად აისახება ენერგიის მიწოდების ბაზარზე კონკურენციის არარსებობაც.

გლობალური კონკურენტუნარიანობის 2013-2014 წლების ანგარიშის მიხედვით, საქართველო ენერგიის მიწოდების ხარისხის მაჩვენებლით 52-ე ადგილზეა, ხოლო მსოფლიო ბანკის ბიზნესის წარმოების (Doing Business) 2014 წლის ანგარიშის მიხედვით ელექტროენერგიის ხელმისაწვდომობის მაჩვენებლით - 54-ე ადგილზე.

### **ინფრასტრუქტურის განვითარებისა და სატრანზიტო პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენების მიზნით განსახორციელებელი პოლიტიკის მიმართულებები**

კარგად განვითარებული სატრანსპორტო, ენერგო, ლოგისტიკური და სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურა ქვეყნის კონკურენტუნარიანობის და სატრანზიტო პოტენციალის ზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ამასთან, ლოგისტიკა, როგორც თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად განვითარებადი დარგი, შესაძლებლობას უქმნის საქართველოს, მაქსიმალურად გამოიყენოს საკუთარი სატრანზიტო და სავაჭრო პოტენციალი. შესაბამისად, სახელმწიფოს პოლიტიკა მიმართული იქნება ამ სფეროს შემდგომი

განვითარებისკენ ინფრასტრუქტურის დახვეწის, ინვესტიციების მოზიდვის და ქვეყნის საერთაშორისო და რეგიონულ სატრანსპორტო სისტემებში ინტეგრაციის გზით.

ენერგეტიკის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის მთავარი ამოცანა ენერჯის იმპორტის შემცირება და ენერგოდამოუკიდებლობის ზრდა, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა იქნება. მეტად მნიშვნელოვანია მარეგულირებელი მექანიზმების შემდგომი დახვეწა, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ენერგეტიკის სფეროში ინვესტიციების მოზიდვას და დარგის სწრაფ განვითარებას.

აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში ინფრასტრუქტურის მშენებლობის/განვითარების პროცესში აუცილებელია გარემოზე მისი შესაძლო ზეგავლენის სათანადო შეფასება და გათვალისწინება, ზიანის თავიდან ასაცილებლად.

### **სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სრულყოფა და ლოგისტიკური ცენტრების განვითარება**

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სრულყოფის და ლოგისტიკური ცენტრების განვითარების მიზნით, საქართველოს მთავრობა ხელს შეუწყობს სატრანსპორტო სისტემების სიმძლავრეების შესაბამის გაზრდას და განვითარებას (საგზაო, გზისპირა, სარკინიგზო და სანავსადგურე ინფრასტრუქტურა, აეროპორტების რეკონსტრუქცია და სატვირთო ტერმინალების მშენებლობა, ლოგისტიკური ცენტრები და ა.შ.). პრიორიტეტი მიენიჭება აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის და ბაქო-თბილისი-ყარსის ახალი სარკინიგზო ხაზის მშენებლობის დასრულებას, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის განვითარებას (ასაფრენ-დასაფრენი ბილიკის სიგრძის მომატებას და სატვირთო ტერმინალების მშენებლობას) და ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის პროექტს.

ლოგისტიკური ცენტრების განვითარების მიზნით, ხელი შეეწყობა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურული, მულტიმოდალური და ინტერმოდალური გადაზიდვის განვითარებას.

ეკონომიკის ზრდას, ზოგადად, განაპირობებს შიდა გადაზიდვის, ტურიზმის და ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება, მათი საერთაშორისო ნორმების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა, ხანგრძლივი ექსპლუატაციის უზრუნველსაყოფად მოვლა-შენახვის სამუშაოების სწორად დაგეგმვა.

### **ინვესტიციების ხელშეწყობა ენერგეტიკის, ტრანსპორტის და ლოგისტიკის სფეროში; სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის გაძლიერება**

ენერგეტიკის სფეროს განვითარების, სატრანსპორტო პოტენციალის ზრდის და შესაბამისი ლოგისტიკური უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს მთავრობა ხელს შეუწყობს ამ სექტორებში ინვესტიციების მოზიდვას, მათ შორის სახელმწიფოს და კერძო სექტორის თანამშრომლობით ერთობლივი საინვესტიციო პროექტების

განხორციელებას (PPP); შემუშავდება ქვეყნისათვის პრიორიტეტულ ენერგეტიკულ, სატრანსპორტო და ლოგისტიკურ პროექტებზე სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური ხელშეწყობის მექანიზმები. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭება ისეთ ინვესტიციებს, რომლებიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში მაღალი დამატებული ღირებულების შექმნას.

### **კონკურენტული გარემოს ფორმირება და ინფორმაციული სისტემების განვითარება**

სატრანსპორტო სისტემის განვითარებისა და ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ზრდის მიზნით, საქართველოს მთავრობა ხელს შეუწყობს სატრანსპორტო სფეროში კონკურენტული გარემოს ფორმირებას, რაც გულისხმობს სატრანსპორტო მომსახურებით დაინტერესებული კომპანიებისთვის ბაზარზე დაშვების თავისუფლებას.

ხელი შეეწყობა საინფორმაციო სისტემების განვითარებას და ტრანსპორტის სტატისტიკის ერთიანი ბაზის ფორმირებას; სატრანსპორტო დოკუმენტების ელექტრონულად დამუშავების სისტემის დახვეწას და თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების ფართოდ გამოყენებას.

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად გაუმჯობესებული საგზაო ინფრასტრუქტურა საავტომობილო გზებზე მაღალი სიჩქარით მოძრაობის შესაძლებლობას ქმნის. შესაბამისად, აუცილებელია საგზაო უსაფრთხოების დონის ამაღლება. ამ მიზნით, შემუშავდება და განხორციელდება სისტემური ღონისძიებები, რაც, თავის მხრივ, ახალი საგზაო უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავებას განაპირობებს.

### **საერთაშორისო და რეგიონულ სატრანსპორტო სისტემებში ინტეგრაცია**

სატრანზიტო დერეფნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით, ხელი შეეწყობა საერთაშორისო სატრანსპორტო სისტემებში ინტეგრაციას და რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავებას. საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი სატრანსპორტო დერეფნის ტრანსევროპულ სატრანსპორტო დერეფნის ძირითად ღერძებთან მიერთების მიზნით, განვითარდება საზღვაო მაგისტრალები (მათ შორის, საბორნე გადაზიდვები), სახელმწიფოთაშორის დონეზე სატრანზიტო გადაზიდვის განვითარების მიზნით, სატრანზიტო დერეფნის მეზობელ ქვეყნებთან (ცალკეულ ტვირთებზე) ჩამოყალიბდება გამჭოლი ტარიფები.

ამასთან, საქართველოს საერთაშორისო და რეგიონულ სატრანსპორტო სისტემებში ინტეგრაციის მიზნით, განხორციელდება „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით“ განსაზღვრული ღონისძიებები და საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივი დაახლოება ევროპულ ნორმებთან.

### **სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის განვითარება**

სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის, მათ შორის, ირიგაციის და დრენაჟის სისტემების განვითარებას. ირიგაციის და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესება განაპირობებს წყლის გამოყენებას, დრენაჟის ეფექტიანი სისტემების (მათ შორის, წვეთოვანი რწყვა, გაფრქვევითი ირიგაცია და სხვა) შექმნა/განვითარებას და მათზე ფერმერთა ხელმისაწვდომობის ზრდას, ასევე წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიების მიწოდებას ფერმერებისათვის რესურსების ოპტიმალურად გამოსაყენებლად და მწარმოებლურობის ასამაღლებლად.

სოფლის მეურნეობის როგორც მწარმოებლურობის, ასევე კონკურენტუნარიანობის ზრდისთვის ხელი შეეწყობა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის გადამამუშავებელი/შემნახველი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მათ შორის, ინვესტიციების მოზიდვის გზით, რაც უზრუნველყოფს როგორც ადგილობრივი მოთხოვნის დაკმაყოფილებას, ასევე საექსპორტო პოტენციალის ზრდას.

რეგიონული და ადგილობრივი განვითარების წახალისების და ადგილობრივ დონეზე კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად, საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს ადგილობრივი და შიდა გზების, ასევე სხვა სატრანსპორტო და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარებას.

## **წყალმომარაგების, წყალარინების სისტემების განვითარება და ნარჩენების მართვა**

ძირითადი ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით დიდი მნიშვნელობა ენიჭება წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების გამართულად მუშაობას, წყლის მაღალ ხარისხს. საქართველოს მთავრობის მიზანია, მოსახლეობისთვის მაღალხარისხიანი სასმელი წყლის უწყვეტი, 24-საათიანი რეჟიმით მიწოდება, საქართველოს ყველა ურბანულ დასახლებასა და ქალაქში წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემის მოწესრიგება და სრულყოფილი ფუნქციონირება, მისი შემდგომი გაუმჯობესება და სისტემის ოპერირების საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოება.

ზემოთ აღნიშნული მიზნის მისაღწევად საქართველოს მთავრობა სათანადო ყურადღებით ეკიდება წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის ევროპულ მოდელზე - მდინარეთა აუზური მართვის მოდელზე - გადასვლის გამოწვევას და მიზნად ისახავს სათანადო მექანიზმების ჩამოყალიბებას წყლის თანმიმდევრული მართვის პოლიტიკის განსახორციელებლად. აუზური მართვის მოდელი ნერგავს ბუნებრივი წყლის ობიექტების (მდინარეების, ტბების, მიწისქვეშა მარაგებისა და სხვა) ერთიან მართვის სისტემას, რაც წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემის მოწესრიგების გარდა ხელს უწყობს წყალმოსარგებლეთა შორის სხვადასხვა მიზნით (ენერგეტიკული, საირიგაციო, რეკრეაციული და სხვა) წყლის რესურსების ეფექტიან განაწილებას.

აუცილებელია მყარი ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემების განვითარება და ევროკავშირის გარემოსდაცვითი და ტექნიკური სტანდარტების შესაბამისად, ახალი სანიტარიული ნაგავსაყრელების და გადამტვირთავი სადგურების მშენებლობა. აღნიშნული მიმართულებით განსახორციელებელი აქტივობები მოითხოვს ქვეყნის მასშტაბით ახალი რეგიონული სანიტარიული პოლიგონებისა და გადამტვირთავი სადგურების რაოდენობის განსაზღვრას და შესაბამისი დაფინანსების წყაროების იდენტიფიცირებას.

საყოფაცხოვრებო ნაგავსაყრელების ქმედითი მართვის სისტემის ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია თანამედროვე, გარემოსათვის უსაფრთხო ნაგავსაყრელების და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა (გადამტვირთავი სადგურები, სახიფათო ნარჩენების განსათავსებელი ობიექტები).

### **ენერგოდამოუკიდებლობის ზრდა**

ენერჯის იმპორტის შემცირებისა და ენერგოდამოუკიდებლობის გაზრდის მიზნით, ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების საშუალებით სახელმწიფო ხელს შეუწყობს ენერგეტიკული, მათ შორის, სტრატეგიული ენერგეტიკული პროექტების განხორციელებას, ადგილობრივი ენერგორესურსების რაციონალურად ათვისებას ისე, რომ გათვალისწინებული იქნება თითოეული პროექტის გარემოზე შესაძლო ზემოქმედების ფაქტორი.

### **ენერგოეფექტურობის ზრდა**

ენერგორესურსების დაზოგვის მიზნით, ხელი შეეწყობა ენერგოეფექტურობის ზრდას და მისი უზრუნველყოფისთვის ქვეყანაში საერთაშორისო და ევროპული ნორმების შესაბამისი საკანონმდებლო მექანიზმების შემუშავებას. ენერჯის ეფექტიანი გამოყენება, თავის მხრივ, განაპირობებს როგორც ენერგოდამოუკიდებლობის ზრდასა და რესურსების რაციონალურ გამოყენებას, ასევე, პერსპექტივაში ენერჯიაზე გაწეული დანახარჯების შემცირებას.

### **რეგიონების გაზიფიცირება/გამრიცხველიანება**

საქართველოს მთავრობა გააგრძელებს სოფლების გაზიფიცირებას, ინდივიდუალურ გამრიცხველიანებას და უშუქო სოფლების ელექტრიფიცირებას. ეს კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ბუნებრივი რესურსების სათბობ-საწვავად გამოყენების შემცირებას და სოციალური ფონის გაუმჯობესებას რეგიონებში.

### **ელექტროენერჯის ექსპორტის ხელშეწყობა**

საექსპორტო ბაზრის გაფართოების მიზნით, მნიშვნელოვანია ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანება და საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის განვითარება, რაც, თავის მხრივ, შექმნის რეგიონული ვაჭრობის შესაძლებლობას და ხელს შეუწყობს კონკურენციის ზრდას.

ასევე, ენერგეტიკის სფეროს თანამედროვე ევროპული სტანდარტების შესაბამისად, ინსტიტუციური მოწყობის და ენერგოეფექტურობის სტანდარტების

დანერგვის მიზნით, განხორციელდება „საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების თანამიმდევრული შესრულება.

**ინფრასტრუქტურული პროექტების გარემოზე ზემოქმედების გათვალისწინება**  
ინფრასტრუქტურის დაგეგმვისა და განვითარების პროცესში გასათვალისწინებელია გარემოზე ზეგავლენის ფაქტორები და გლობალური დათბობის ნეგატიური ზემოქმედება ქვეყნის ეკონომიკაზე.

იმის გამო, რომ საქართველო მსოფლიოს მთიან რეგიონებს შორის სტიქიური მოვლენების მხრივ ერთ-ერთ სენსიტიურ ქვეყანას წარმოადგენს, აუცილებელია, ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება, კატასტროფებით გამოწვეული ადამიანური მსხვერპლის თავიდან აცილება და სხვა უარყოფითი შედეგების (გზების, ხიდების, საწარმოო თუ საცხოვრებელი შენობა-ნაგებობებისა და სხვა ინფრასტრუქტურის დაზიანება) აღმოფხვრა. ამ მიზნით, საქართველოს მთავრობა გეგმავს ადრეული გაფრთხილების თანამედროვე სისტემების დანერგვას, სხვადასხვა ღონისძიების გატარებას და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებას.

გლობალური დათბობით გამოწვეული ეკონომიკური დანაკარგების აღმოსაფხვრელად საქართველოს მთავრობის ძალისხმევასთან ერთად საჭირო იქნება გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის საერთაშორისო ფონდებიდან (მწვანე კლიმატის ფონდი, გლობალური გარემოს დაცვის ფონდი და სხვ.) გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციით ვალდებულებების შესრულებისთვის საჭირო განსაზღვრული გარემოსდაცვითი ინვესტიციების მოზიდვა, რაც ასევე შეუწყობს ხელს ქვეყანაში ენერგოდამზოგი, გარემოსადმი კეთილგანწყობილი თანამედროვე ტექნოლოგიების შემოტანა-დანერგვას.

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ტყის რესურსების დაცვისა და რაციონალური გამოყენების პრაქტიკის დანერგვა, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ქვეყნის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, ვინაიდან ტყის ეკოსისტემების სიჯანსაღეზეა დამოკიდებული სოფლის მეურნეობის, ჰიდროენერგეტიკის, ტურიზმისა და ეკონომიკის სხვა სექტორების განვითარება. ტყის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების, რეკრეაციული, წყალმარეგულირებელი და ნიადაგდაცვითი ფუნქციების გათვალისწინებით ტყის მართვის თანამედროვე მეთოდების დანერგვა და ინოვაციური ტექნოლოგიების შემოტანა შეამცირებს ტყის დეგრადაციით გამოწვეულ ხარჯებს და ხელს შეუწყობს ეკონომიკური სარგებლის ზრდას ტყეების ეკოსისტემური სერვისის გაუმჯობესების გზით.

### **მოსალოდნელი შედეგები**

სახელმწიფო პოლიტიკის მთავარი მიზანი ტრანსპორტირების და ლოგისტიკის სფეროებში საქართველოს რეგიონის ლიდერად გადაქცევაა. გაიზრდება როგორც მოძრაობის ინტენსივობა და ტვირთბრუნვა, ასევე, გადამუშავებული

ტვირთის მოცულობა, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ზრდას.

სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის კუთხით განხორციელებული პოლიტიკის შედეგად, გაიზრდება როგორც პირველადი სასოფლო-სამეურნეო წარმოების, ასევე, მასთან დაკავშირებული გადამამუშავებელი მრეწველობის მწარმოებლურობა. ამადღდება როგორც ფერმერული მეურნეობების, ასევე, აგრარული პროდუქტის კონკურენტუნარიანობა.

ქვეყნის მასშტაბით განვითარდება წყალმომარაგების და მყარი ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემები.

განხორციელებული პოლიტიკის შედეგად გაიზრდება საქართველოში გამომუშავებული ენერჯის მოცულობა, რაც განაპირობებს ენერჯის იმპორტის შემცირებას და გაზრდის ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობას. ამ პროცესში გათვალისწინებული იქნება გარემოზე ზემოქმედების ფაქტორი. საქართველოში გენერირებული ენერჯის ზრდის პარალელურად მოსალოდნელია ენერჯის ექსპორტის ზრდა და საექსპორტო ბაზრების შემდგომი დივერსიფიკაცია. გარდა ამისა, განვითარდება კონკურენტული გარემო და გამარტივდება ენერჯის წყაროებთან მიერთების პროცესი.

**ინფრასტრუქტურის განვითარების და სატრანზიტო პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებისთვის დასახული მიზნები**

| მაჩვენებელი   | საბაზისო | 2017 | 2020 |
|---|----------|------|------|
| ელექტროენერჯის მთლიანი წლიური წარმოება (ტერავატ*საათი)          | 9.7      | 12.0 | 14.0 |
| ელექტროენერჯიაზე წვდომა (ბიზნესის წარმოების ანგარიშის მიხედვით) | 50       | 45   | 35   |
| ლოგისტიკის ინდექსი (ქულა)                                       | 2.77     | 3.1  | 3.3  |
| გზების დაფარვის მაჩვენებელი (%)                                 | 39       | 42   | 45   |

\* ტრილიონი ვატი

**2. ადამიანური რესურსების განვითარება**

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს ადამიანური რესურსების განვითარება და არსებული პოტენციალის მაქსიმალურად ეფექტიანი გამოყენება წარმოადგენს.

სწრაფი ეკონომიკური ზრდა მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების და სიღარიბის შემცირების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ამავე დროს, ადამიანური კაპიტალის განვითარებისთვის აუცილებელია თანაბარი შესაძლებლობების შექმნა ხარისხიანი სერვისის უზრუნველყოფით, სოციალური სამართლიანობით და

სოციალური დაცვის სისტემების გაძლიერებით, რაც უზრუნველყოფს ხარისხიანი განათლებისა და ჯანდაცვის სისტემებზე ხელმისაწვდომობას.

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა ხელს უწყობს დასაქმების შესაძლებლობების ზრდას. ამასთან, აუცილებელია ადამიანური რესურსების განვითარებაში მნიშვნელოვანი ინვესტიციების განხორციელება. უმუშევრობის დღევანდელი მაჩვენებელი ასახავს ადამიანური რესურსების განვითარების აუცილებლობას. პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს ადამიანური რესურსების შესაძლებლობების ამაღლებაზე, განსაკუთრებით ახალგაზრდების, დაბალი კვალიფიკაციის მქონე პირების და შრომის ბაზარზე დისკრიმინაციის საფრთხის წინაშე მყოფი პირების (შშმპ და სხვა) შესაძლებლობების განვითარებაზე. ამავე დროს, გრძელვადიან პერიოდში კვალიფიციური აკადემიური და ტექნიკური სამუშაო ძალის მისაღებად აუცილებელია განათლების ხარისხის გაუმჯობესება და ხარისხიანი განათლების სისტემებზე ხელმისაწვდომობა.

სტრატეგია ადამიანური რესურსების განვითარებისთვის სამ ძირითად მიმართულებას ითვალისწინებს, რომლებიც სახელმწიფოს მხრიდან რეფორმების აქტიურ განხორციელებას მოითხოვს. ეს მიმართულებებია: შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული სამუშაო ძალის განვითარება, სოციალური უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფა და ხარისხიანი და ხელმისაწვდომი ჯანდაცვისა და განათლების სისტემების უზრუნველყოფა.

საქართველოს მთავრობისათვის პრიორიტეტულია ქვეყანაში განათლების ყველა საფეხურზე (ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი) ხარისხიანი და ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო სისტემის ფორმირება.

განათლება განვითარების ფუნდამენტური ფაქტორია და ადამიანურ კაპიტალში ინვესტირების გარეშე შეუძლებელია მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიღწევა. მხოლოდ ძლიერი და სოციალურად სამართლიანი საგანმანათლებლო სისტემის პირობებშია შესაძლებელი ქვეყანაში არსებული სოციალური, კულტურული და ეკონომიკური გამოწვევების გადაჭრა.

### **შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული სამუშაო ძალის განვითარება არსებული ვითარება**

სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი სამუშაო ძალის განვითარება ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორებია. დასაქმების შესაძლებლობების ზრდა მტკიცე საფუძველს შექმნის საქართველოს მთელი მოსახლეობის ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად. სიღარიბის დასაძლევად სოციალურ დახმარებაზე ბევრად ეფექტიანია ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა და სამუშაო ძალის სრულფასოვანი ჩართულობა ინკლუზიურ ზრდაში.


2000-იანი წლების შუა პერიოდში ბიზნესგარემოს რეფორმებს ინვესტიციების ზრდა მოჰყვა, თუმცა, იგი ნაკლებად აისახა მოსახლეობის დასაქმებაზე. უმუშევრობის მაჩვენებელი 2007 წელს დაფიქსირებული 13,3%-დან 2009 წელს 16,9%-მდე გაიზარდა; 2012 წლისთვის კი 15,0%-მდე შემცირდა. იმავე პერიოდში



(2007-2012) ახალგაზრდების უმუშევრობა (15-19 წლის ასაკობრივი ჯგუფი) 27,7%-დან 36,9%-მდე გაიზარდა. საქართველოში ეს მაჩვენებლები უფრო მაღალია, ვიდრე აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნების დიდ ნაწილში. ქალაქის ტიპის დასახლებებში უმუშევრობა 28%-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში სამუშაო ძალას, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებს, დასაქმების ნაკლები შესაძლებლობა აქვთ.

დიაგრამა 7

უმუშევრობის მაჩვენებლები ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (2007-2012)




საქართველოში უმუშევრების ორ მესამედს (67,1%) წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში არ ჰქონდა სამუშაო ადგილი, რაც უფრო ამცირებს დასაქმების შესაძლებლობას. მსოფლიო ბანკის 2013 წლის ანგარიშის თანახმად, საქართველოში ხანგრძლივი უმუშევრობის შემდეგ დასაქმების მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია<sup>1</sup>. პრობლემას წარმოადგენს შრომის ბაზარზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებული დისბალანსი. ბევრია ისეთი სპეციალობის მქონე ადამიანი, რომლებზეც შრომის ბაზარზე მოთხოვნა ნაკლებია. ამავე დროს, არასაკმარისია სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრი.

საქართველო: უნარების შეუთავსებლობა და უმუშევრობა, შრომის ბაზრის გამოწვევები, მსოფლიო ბანკი, მარტი, 2013 წელი, გვ. 2

დიაგრამა 8

**უმუშევრობის მაჩვენებლები განათლების დონის მიხედვით (2010)**



წყარო: მსოფლიო ბანკი, ოჯახების ბიუჯეტების 2010 წლის მიმოხილვის საფუძველზე

უმუშევრობის მაჩვენებლები განათლების დონის მიხედვით (დიაგრამა 8) მიუთითებს, რომ რაც უფრო მაღალია განათლების მიღწეული დონე, მით უფრო მეტი სიმწვავით იჩენს თავს უმუშევრობის პრობლემა, რაც, თავის მხრივ, ცხადყოფს, რომ განათლების სისტემა ვერ უპასუხებს ეკონომიკის თანამედროვე გამოწვევებს. პროფესიული განათლების სისტემის ხარვეზებზე მეტყველებს ის გარემოება, რომ შრომისუნარიანი ასაკის მთელ მოსახლეობაში არ არსებობს განსხვავება პროფესიული და დაწყებითი განათლების მქონე პირთა უმუშევრობის მაჩვენებლებს შორის. უფრო მეტიც, პროფესიული განათლების მქონე ახალგაზრდა ასაკობრივ ჯგუფში უმუშევრობის მაჩვენებელი 8 პროცენტული ერთეულით აჭარბებს ამავე ასაკობრივ ჯგუფში მხოლოდ დაწყებითი განათლების მქონე პირთა უმუშევრობის მაჩვენებელს. აღნიშნული მაჩვენებლები, სხვა ფაქტორებთან ერთად, მიანიშნებს, რომ არ არსებობს კოორდინაცია სამუშაო ძალის კვალიფიკაციის მიმართ არსებულ მოთხოვნებსა და განათლების სისტემით მიწოდებულ კვალიფიკაციას შორის.

განათლების ხარისხის პრობლემაა ზოგადი განათლების სისტემაშიც. მოსწავლეების საერთაშორისო შეფასების პროგრამის (PISA) მიხედვით, 2009 წელს საქართველოში მოსწავლეების შეფასება OECD-ის საშუალო მაჩვენებელზე დაბალი იყო. მოსწავლეთა მხოლოდ 38% სცილდება ფუნქციური წერა-კითხვის ზღვარს, ხოლო მათემატიკაში ზღვარზე ან ზღვარს ზემოთ მოსწავლეთა მხოლოდ 31%-ია.

საქართველო 105-ე ადგილზეა „საგანმანათლებლო სისტემის ხარისხის“ გლობალური კონკურენტუნარიანობის 2013-2014 წლების ანგარიშის მიხედვით, ხოლო „კვლევითი და ტრენინგის მომსახურების ხელმისაწვდომობით“ 130-ზე.

ადამიანური რესურსების განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სკოლამდელი განათლების ხარისხი. საქართველოში საშუალოდ ბავშვების მხოლოდ 46% დადის საბავშვო ბაღში, რეგიონებში აღნიშნული მაჩვენებელი 20%-დან 58%-მდე მერყეობს<sup>2</sup>, სოფლად კი უფრო დაბალია. სკოლამდელი განათლების მიმართულებით დიდი მნიშვნელობა აქვს ხედვისა და სისტემის ჩამოყალიბებას, ინსტიტუციური ფუნქციებისა და ვალდებულებების მკაფიოდ განსაზღვრასა და საკითხისადმი კომპლექსურ მიდგომას სტანდარტების, ადამიანური რესურსების განვითარების, ხარისხის მონიტორინგისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების გზით. სკოლამდელ განათლებაში გამოყენებული რესურსები და მიღებული გადაწყვეტილებები უნდა უზრუნველყოფდეს თანაბარი და თანასწორი ხელმისაწვდომობის პრინციპების დაცვას.

გამოწვევების წინაშე დგას პროფესიული და უმაღლესი განათლების სისტემებიც. აკადემიური და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ნაკლებად შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებს. პროფესიული განათლების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის დონე დაბალია და ის ჯერ კიდევ არ განიხილება, როგორც აკადემიური განათლების თანასწორი ან მიმზიდველი საგანმანათლებლო ალტერნატივა. პროფესიული განათლება ნაკლებად აღიქმება შემოსავლის მომტან თუ კარიერული განვითარების საშუალებად.

პრობლემას წარმოადგენს განათლების დაფინანსების დაბალი დონეც. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში განათლების დაფინანსება იზრდება, საქართველოს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს. მცირე დაფინანსება უარყოფითად აისახება განათლების სფეროში ფიზიკური ინფრასტრუქტურის განვითარებაზე და სისტემაში ჩართული ადამიანური რესურსების ანაზღაურებაზე, რაც მოტივაციის შემცირებას იწვევს.

---

2საქართველოში ადრეულ ასაკში სწავლების სისტემის ღირებულების გაანგარიშების და დაფინანსების ყოვლისმომცველი სტრატეგია - გაეროს ბავშვთა ფონდი, 2012წ.

### **შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული სამუშაო ძალის განვითარების მიზნით განსახორციელებელი პოლიტიკის მიმართულებები**

სახელმწიფოს პოლიტიკა ამ სფეროში მოსახლეობისთვის დასაქმების შესაძლებლობების გასაზრდელად შესაბამისი წინაპირობების შექმნისკენ იქნება მიმართული. კერძოდ, შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის განვითარება უზრუნველყოფს სამუშაოს მაძიებელთა დასაქმების არსებული და პოტენციური შესაძლებლობების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდას. ზოგადი განათლების სისტემის განვითარება თანამედროვე, ცოდნაზე დაფუძნებული პრინციპების შესაბამისად, ხელს შეუწყობს იმ ადამიანური რესურსების მაღალი კვალიფიკაციის უზრუნველყოფას, რომელიც შრომის ბაზარზე შესასვლელად ემზადება. ამასთან, ხელმისაწვდომი და ხარისხიანი პროფესიული განათლების განვითარება განაპირობებს სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლებას და შრომის ბაზარზე არსებული დისბალანსის დაძლევას. საბოლოოდ, აღნიშნული ხედვის განხორციელება ხელს შეუწყობს ადამიანური კაპიტალის განვითარებას და დააჩქარებს ინკლუზიური ეკონომიკური განვითარების პროცესს.

### **შრომის ბაზრის განვითარების ხელშეწყობა**

შრომის ბაზრის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის მიზანს შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნისა და მიწოდების დისბალანსის აღმოფხვრა წარმოადგენს ადამიანური რესურსების რაციონალური გამოყენების, ეფექტიანი დასაქმების ხელშეწყობის და სამუშაო ძალის ხარისხობრივი სრულყოფის გზით. პოლიტიკის საბოლოო შედეგი უმუშევრობის თანმიმდევრული შემცირება იქნება.

შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის ფორმირება/განვითარებისთვის ხელი შეეწყობა: შრომის ბაზრის კვლევების ინსტიტუციონალიზაციას და მონაცემთა ბაზის ფორმირება/განვითარებას; დამსაქმებელსა და სამუშაოს მაძიებელს შორის ეფექტიანი კავშირის უზრუნველყოფას; საშუაშაგლო მომსახურების სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების განვითარებას; უმუშევართა ან/და სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების გამართული სისტემის შექმნას (უწყვეტი განათლების მხარდაჭერა); შრომის ბაზარზე

არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით შრომითი მიგრაციული პროცესების მართვის პოლიტიკის შემუშავებას და განხორციელებას; თვითდასაქმების და სამეწარმეო საქმიანობის დასაწყებად შესაბამისი პროგრამების განხორციელებას.

შრომის ბაზრის განვითარების პროცესში მნიშვნელოვანია, რომ დასაქმებული არა მარტო სამუშაო ადგილით იყოს უზრუნველყოფილი, არამედ, ამავედროულად, მისი, როგორც დასაქმებულის, უფლებები იყოს მკაცრად დაცული და საქმიანობის შედეგად შრომის შესაბამისი ანაზღაურება მიიღოს, რაც მას ცხოვრების ნორმალური პირობებით უზრუნველყოფს.

ამ მიმართულებით საქართველოს მთავრობა იზრუნებს შრომისა და დასაქმების სფეროში არსებული კანონმდებლობის შემდგომ სრულყოფასა და ევროპულ სტანდარტებთან გათანაბრებაზე. გარდა ამისა, არსებული რეალობის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობა ევროპული გამოცდილების შესაბამისად უზრუნველყოფს შრომითი უფლებების დაცვის მონიტორინგის ინსტიტუციური მექანიზმების შექმნას, რომლებიც დაიცავს დასაქმებულთა უფლებებს, ჰქონდეთ უსაფრთხო და შესაფერისი სამუშაო გარემო და სამუშაო პირობები, ასევე, ზედამხეველობას გაუწევს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებების დაცვას.

შრომის ბაზრის განვითარების კუთხით, ასევე, მნიშვნელოვანია შრომითი მიგრაციის პროცესებში შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება. საქართველოს მთავრობა განსაზღვრავს და დაიცავს მიგრანტთა შრომით უფლებებს.

საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს სოციალური პარტნიორობისა და სოციალური დიალოგის განვითარებას, რაც გულისხმობს სახელმწიფოს, დამსაქმებლებისა და დასაქმებულთა თანამშრომლობას და ამის შედეგად მხარეებს შორის თანამშრომლობის ფორმების შემუშავებას. სოციალური დიალოგის მეშვეობით დამსაქმებელთა ინტერესების გათვალისწინებასთან ერთად, თითოეული დასაქმებული უზრუნველყოფილი იქნება ღირსეული სამუშაო პირობებით. ასეთი ურთიერთმისაღები თანამშრომლობა, რომლის გარანტიც სახელმწიფოა, უზრუნველყოფს ქვეყანაში სოციალური მშვიდობის განმტკიცებას და ეკონომიკური პროცესების სტაბილურობას.

### **ზოგადი განათლების ხარისხის ამაღლება**

მაღალი ხარისხის ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობა საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ზოგადი განათლების ხარისხის ასამაღლებლად საგანმანათლებლო სისტემა უნდა დაეფუძნოს თანამედროვე, მეცნიერულად გამყარებულ ხედვასა თუ კონცეფციას. ამ საერთო ხედვის შესაბამისად, დაიგეგმება და განხორციელდება სისტემის საქმიანობა: უზრუნველყოფილი იქნება განათლების სექტორების ჰარმონიზაცია და განათლების ხელმისაწვდომობა და უწყვეტობა (სკოლამდელი-ზოგადი-პროფესიული-უმაღლესი განათლება მთელი ცხოვრების განმავლობაში), სასწავლო პროგრამების დახვეწა და განვითარება, მასწავლებელთა კორპუსის გაძლიერება მათი პროფესიული

განვითარების, მოტივაციის ამაღლებისა და სისტემაში ახალი პროფესიონალების მოზიდვის გზით, სკოლების ფიზიკური და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის განახლება/განვითარება. აღნიშნული მიმართულებების განხორციელება საჭიროებს დაფინანსების ეფექტიან მექანიზმებს. ასევე ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება იქნება სკოლამდელი განათლების სექტორი, სასკოლო მზაობის, საბავშვო ბაღების სერვისის ხელმისაწვდომობისა და ხარისხის განვითარების გზით.

საქართველოს მთავრობის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები გულისხმობს: განათლების სისტემის მეცნიერულად გამყარებული კომპლექსური ხედვის შესაბამისად, მასწავლებელთა პროფესიული და კარიერული განვითარების თანამედროვე მიდგომის შემუშავებას და დანერგვას; განვითარების საფეხურების შესაბამისი სამოტივაციო პაკეტებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამების შემუშავებას; ადამიანური რესურსის კონკურენტუნარიანობის ზრდის მიზნით არსებული ეროვნული სასწავლო გეგმის გადახედვას და შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას; სწავლების პროცესში შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებას, განსაკუთრებით მათემატიკის, საბუნებისმეტყველო საგნების, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და უცხოური ენების სწავლების მიმართულებით; სწავლა-სწავლების ახალი მეთოდების დანერგვისა და განვითარების ხელშეწყობას; ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგისა და კვლევების წარმოებას ბავშვზე ორიენტირებული სისტემის ეფექტიანობის გასაძლიერებლად; მასწავლებელთა შეფასების სისტემის დანერგვას და სწავლების ხარისხის განვითარებას პროცესების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გასაუმჯობესებლად; ფსიქოლოგიური ცენტრების შექმნას ქცევითი და ემოციური პრობლემების მქონე სკოლის მოსწავლეებისა და მათი ოჯახებისათვის ფსიქოსოციალური მომსახურების გაწევას, უსაფრთხო სკოლის ფორმირებას; სკოლებში პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის კურსის დანერგვას; ინკლუზიური განათლების ხელშეწყობას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების განათლებისა და დასაქმების პრობლემების გადასაჭრელად.

### **პროფესიული განათლების სისტემის განვითარება**

პროფესიული განათლების სფეროში განსახორციელებელი ღონისძიებები მოიცავს: პროფესიული განათლების სისტემის მარეგულირებელი გარემოს გაუმჯობესებას; პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაძლებლობის გაძლიერებას შრომის ბაზრისა და თანამედროვე ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისად; ბაზარზე ორიენტირებული პროფესიული სტანდარტების და მოქნილი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას; ოპტიმალური პროფესიული საგანმანათლებლო ქსელის ჩამოყალიბებას, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება როგორც გეოგრაფიული, ასევე, საგანმანათლებლო პროგრამების/დისციპლინების თვალსაზრისით; დაფინანსების ეფექტური მექანიზმების ჩამოყალიბებას, რომლებიც კონკურენციის საფუძველზე ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას; საზოგადოების ყველა სოციალური

ჯგუფისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სრული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას; პროფესიული სასწავლებლების ინფრასტრუქტურის შექმნა/განვითარებას; პროფესიული სასწავლებლების მასწავლებლების მომზადებასა და გადამზადებას თანამედროვე სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისად; კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმების გაძლიერებას - კარიერის დაგეგმვისა და პროფორიენტაციის სისტემის უზრუნველყოფას.

### **უმაღლესი განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობა**

ძლიერი უმაღლესი განათლების სისტემისა და მეცნიერების განვითარება საქართველოს მთავრობისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ხელს უწყობს ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების ჩამოყალიბებას და ინდივიდუალური თუ საზოგადოებრივი კეთილდღეობის შექმნას. უმაღლესი განათლების სისტემამ უნდა უზრუნველყოს ევროპული სტანდარტების შესაბამისი განათლება, მუდმივად იზრუნოს მისი ხარისხის განვითარებაზე და მოიპოვოს საერთაშორისო ნდობა, მოამზადოს ლოკალური და საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი ახალგაზრდები. ქვეყანაში კონკურენტუნარიანი ადამიანური კაპიტალის შესაქმნელად მნიშვნელოვანია უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა და დაფინანსების ეფექტური მექანიზმების შექმნა.

საქართველოს მთავრობის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები მოიცავს: ავტონომიისა და აკადემიური თავისუფლების უზრუნველყოფას; უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელობის (leader-ship) ეფექტიანობის გასაზრდელად და კვალიფიციური აკადემიური და დამხმარე პერსონალის მოსაზიდად გამჭვირვალე მექანიზმების ჩამოყალიბებას; აკადემიური პერსონალის განვითარების პროგრამების შექმნასა და მათი საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობას; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურით და ტექნოლოგიებით უზრუნველყოფას; სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის უნივერსიტეტებში შესაბამისი (ინკლუზიური) სასწავლო გარემოს შექმნას; განათლების ხარისხის განვითარებაზე ორიენტირებული ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დახვეწას. ამასთან ერთად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის შიდა ხარისხის განვითარების მექანიზმების განვითარება-დანერგვის ხელშეწყობას; სწავლისა და კვლევის ეფექტიან ინტეგრირებას და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში კვლევის კულტურის განვითარებას.

უმაღლესი განათლების სისტემის ეფექტიანობის შეფასების მიზნით, დაინერგება ერთიანი საინფორმაციო-ანალიტიკური სისტემა.

სწავლისა და კვლევის ხარისხის გასაუმჯობესებლად, გაძლიერდება უმაღლესი განათლების მართვის მოდელში ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი,

აღმოიფხვრება საკანონმდებლო ბარიერები სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობისათვის. გაიზრდება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციაში საერთაშორისო ჩართულობა, კვლევითი საქმიანობის შედეგების შეფასებისას ამოქმედდება საერთაშორისო კოლეგიალური შეფასების სისტემა, საქართველო - ევროკავშირის ასოცირების პროცესის ფარგლებში საქართველო მეტად იქნება ჩართული შესაბამის ინსტრუმენტებსა და პროგრამებში.

დაიხვეწება უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების დაფინანსების მოდელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების გარანტიების შექმნისათვის და ცალკეული მიმართულებების სტაბილური განვითარების ხელშეწყობისათვის.

სახელმწიფო ხელს შეუწყობს უმაღლესი განათლებისა და კვლევის ერთიანი სივრცის ფორმირებას სადოქტორო საფეხურის ხარისხის გაუმჯობესების, უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში სწავლისა და კვლევის ინტეგრაციის პროცესების მარეგულირებელი კანონმდებლობის სრულყოფის გზით.

### მოსალოდნელი შედეგები

ზემოაღნიშნული ღონისძიებების შედეგად გაიზრდება განათლების ხარისხი და მასზე ხელმისაწვდომობა, ამალდება ადამიანური რესურსების კონკურენტუნარიანობა. შრომის ბაზარზე არსებული დისბალანსის აღმოფხვრის შედეგად გაიზრდება დასაქმების შესაძლებლობები. ადამიანური რესურსების, როგორც წარმოების ფაქტორის, განვითარება მნიშვნელოვანია სტრატეგიის მიზნობრივი მაჩვენებლების მისაღწევად.

გარდა ამისა, ამგვარი შესაძლებლობების შექმნა შრომისუნარიანი მოსახლეობისთვის ხელს შეუწყობს ეკონომიკური ზრდის ინკლუზიურობას. თითოეული ადამიანისთვის უკეთესი შესაძლებლობების უზრუნველყოფა არის როგორც ეკონომიკური აუცილებლობა, ასევე, მთავრობის სოციალური ვალდებულება.

### მიზნები შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული სამუშაო ძალის განვითარებისთვის

| მაჩვენებელი                               | საბაზისო | 2017 | 2020 |
|---|----------|------|------|
| უმუშევრობა, %                             | 15       | 13   | <12  |
| მიღება სკოლამდელი განათლების სფეროში, %   | 46       | 60   | 80   |
| მიღება პროფესიული განათლების კურსებზე (%) | 2.5      | 5    | 10   |



## სოციალური უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფა არსებული ვითარება

ადამიანური რესურსების კონკურენტუნარიანობის ზრდას საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფებისთვის სოციალური დაცვის სისტემის შემდგომი დახვეწა განაპირობებს. სოციალური დაცვის სისტემა მოიცავს ორ ძირითად კომპონენტს - მიზნობრივ სოციალურ დახმარებას (TSA) სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახებისთვის და საპენსიო სისტემას.

საქართველოში სოციალური უზრუნველყოფის ქსელი 2004 წელს შეიქმნა, 2006 წლიდან კი დაინერგა მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია სიღარიბის ზღვარს მიღმა მოსახლეობის და მოწყვლადი ოჯახების ფინანსურ დახმარებაზე. ამ სისტემამ შეცვალა მანამდე არსებული დახმარება მარტოხელა პენსიონერების, ობლების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების, უსინათლოებისა და მრავალშვილიანი ოჯახების კატეგორიებისთვის. 2009-2011 წლებში სიღარიბის ფარდობითი მაჩვენებლების შემცირების მიუხედავად, რაშიც გარკვეული წვლილი მიზნობრივი სოციალური დახმარების სისტემას მიუძღვის, 2011 წლისათვის საქართველოში ოჯახების დაახლოებით მეხუთედი (21.8%) და ბავშვთა მოსახლეობის მეოთხედი (25.2%) კვლავ ფარდობითი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობდა<sup>3</sup>. აღსანიშნავია, რომ ჯინის კოეფიციენტი მაღალია და ბოლო ათწლეულის განმავლობაში 0,41 ფარგლებში მერყეობს.

---

<sup>3</sup>საქართველო: ბავშვთა სიღარიბის შემცირება. სადისკუსიო დოკუმენტი, გაეროს ბავშვთა ფონდი, 2012 წ.

2013 წლის მონაცემებით მიზნობრივი სოციალური დახმარების მონაცემთა ბაზაში 1.7 მილიონამდე პირია დარეგისტრირებული (მოსახლეობის დაახლოებით 40%), მათგან 443 000 პირი იღებს საარსებო შემწეობას. მიზნობრივი სოციალური დახმარების გადაფარვა მოსახლეობის დაახლოებით 10%-ზე ვრცელდება. 2012 წლის ბიუჯეტში სოციალური დახმარებისთვის დაახლოებით 141 მლნ. ლარი (მშპ-ს 0,7%) გამოიყო. მიუხედავად განხორციელებული ღონისძიებებისა, მიზნობრივი სოციალური დახმარების ეფექტიანობის ზრდისთვის საჭიროა ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დახვეწა.


2013 წლის ივლისიდან საქართველოს მთავრობამ გააორმაგა მიზნობრივი სოციალური დახმარებების დაფინანსება ყოველთვიური თანხის 30-დან 60 ლარამდე, ხოლო ოჯახის ყოველ დამატებით წევრზე, 24-დან 48 ლარამდე გაზრდით. 2013 წელს ეს დამატებით 71.5 მლნ. ლარს შეადგენს (წლიური ხარჯი შეადგენს 213 მლნ. ლარს, მშპ-ს 0,5%).

ხანდაზმულთა სოციალური დაცვის ღონისძიებების უმთავრეს ნაწილს ხანდაზმულობის პენსია წარმოადგენს. საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ (მამაკაცებისთვის - 65 წელი, ქალებისთვის - 60 წელი) ყველა მოქალაქეს უფლება აქვს

მიიღოს პენსია. ხანდაზმულობის პენსია 2013 წლის სექტემბერში 150 ლარამდე გაიზარდა (2010 წელს პენსია 115 ლარი იყო). დღეისათვის ბენეფიციარების ჯამური რაოდენობა 684000 ადამიანს - მოსახლეობის 15%-ს შეადგენს, საპენსიო ხარჯები კი - დაახლოებით 1 მილიარდ ლარს.

დიაგრამა 9

### საქართველოს პროგნოზული მოსახლეობა



წყარო: გაერო, მოსახლეობის საპროგნოზო მაჩვენებლები

პენსიონერთა რაოდენობა მზარდია და გაეროს მონაცემებით პენსიონერების რაოდენობა 2050 წლისათვის საქართველოს მოსახლეობის 25%-ს მიაღწევს, რაც სოციალური დანახარჯების მუდმივ ზრდას გამოიწვევს. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ეტაპობრივად დაგროვებით საპენსიო სისტემაზე გადასვლა, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საბაზისო პენსიის არამდგრადი ზრდისგან გამოწვეული წნეხის შემსუბუქებას.

### სოციალური უზრუნველყოფის სისტემის გაუმჯობესების მიზნით განსახორციელებელი პოლიტიკის მიმართულებები

სოციალური უზრუნველყოფის სფეროში საქართველოს მთავრობის პოლიტიკაა სოციალური დაცვის სისტემის შექმნით უზრუნველყოს ადამიანთა ღირსეული ცხოვრებისა და შრომის პირობები, შეამციროს მოსახლეობის სიღარიბითა და ხანდაზმულობით გამოწვეული სოციალური რისკები და ხელი შეუწყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და სხვა მოწყვლად ჯგუფებს, მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში.

### მიზნობრივი სოციალური დახმარება

სოციალური დახმარების პროგრამის მიზნობრიობის გაუმჯობესების მიზნით, დაიხვეწება ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგია; გაუმჯობესდება პროგრამების ადმინისტრირება და გაძლიერდება

სოციალური ინფორმაციის მენეჯმენტის სისტემა. აღნიშნული ღონისძიებები ასევე ხელს შეუწყობს სოციალური დახმარებების ეფექტიანობის ზრდას.

**საპენსიო დახმარებების მომავალი ზრდა**

საპენსიო სისტემის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, განხორციელდება დაგროვებით საპენსიო სისტემაზე ეტაპობრივი გადასვლა, ამასთან, ეკონომიკური ზრდა საბაზისო პენსიების თანდათანობითი ზრდის წინაპირობაა, რაც პენსიონერების სოციალური პირობების გაუმჯობესებას უზრუნველყოფს.

**მოსალოდნელი შედეგები**

ზემოაღნიშნული ღონისძიებების გატარებით საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს მოსახლეობის უღარიბესი ერთი მეათედის 80%-ის მომსახურებას მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამით, მეორე დეცილის ოჯახების, სულ მცირე, 50%-ის ჩართვას სოციალური დახმარების პროგრამაში, ასევე უნივერსალური საბაზისო პენსიის შენარჩუნებას. ამასთან, ეტაპობრივად განხორციელდება დაგროვებითი სქემების შემოღება.

**მიზნები სოციალური უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფისთვის**

| მაჩვენებელი   | საბაზისო | 2017 | 2020 |
|---|----------|------|------|
| უღარიბესი დეცილის გადაფარვა მიზნობრივი სოციალური დახმარებით | 50       | 60   | 80   |
| მოსახლეობა მედიანური მოხმარების 60%-ზე ქვემოთ               | 22.4     | 20   | 18   |
| მოსახლეობა მედიანური მოხმარების 40%-ზე ქვემოთ               | 9.3      | 8    | 5    |
| სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობა (პროცენტული წილი)  | 9.7      | 8.5  | 6    |
| ჯინის კოეფიციენტი   | 0.41     | 0.38 | 0.35 |

**ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანდაცვის უზრუნველყოფა არსებული ვითარება**

სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის და ხარისხის კუთხით უთანასწორობის აღმოფხვრა უდიდეს გავლენას ახდენს ქვეყნის ინკლუზიურ განვითარებაზე. მოსახლეობის ავადობა, სიკვდილიანობა და უნარშემოზღუდულობა მნიშვნელოვან დანაკარგებს იწვევს როგორც ადამიანური რესურსის მწარმოებლობის, ისე ზოგადად - ეკონომიკური განვითარების კუთხით.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში საქართველოში გაუმჯობესდა სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის და დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის მონაცემები, 2012 წლისთვის ქვეყანაში

ავადობისა და სიკვდილიანობის დონე კვლავ მაღალი იყო და მნიშვნელოვნად აღემატებოდა ევროპის განვითარებული ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს<sup>4</sup>. ეს ფაქტი ჯანდაცვის სფეროში სისტემურ პრობლემებზე მიუთითებს და საქართველოს მთავრობის მხრიდან დაუყოვნებელი ღონისძიებების გატარებას მოითხოვს.

---

<sup>4</sup>2012 წელს საქართველოში ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი (12/1000 ცოცხალშობილზე) მნიშვნელოვნად აღემატებოდა ევროპის განვითარებული ქვეყნების საშუალო მაჩვენებლებს (7/1000);


საქართველოს მთავრობისთვის პრიორიტეტულია მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და მისი ხარისხის გაუმჯობესება. ამას ადასტურებს 2012 წელთან შედარებით 2013 წელს ჯანდაცვის სექტორისთვის გამოყოფილი სახელმწიფო ასიგნებების მოცულობის თითქმის გაორმაგება (365 მლნ. ლარიდან 635 მლნ. ლარამდე)<sup>5</sup> და 2013 წლის თებერვლიდან ჯანდაცვის საყოველთაო პროგრამის ამოქმედება. 2014 წლის აპრილის მონაცემებით საქართველოს ყველა მოქალაქე უზრუნველყოფილია საბაზისო სამედიცინო მომსახურებით, მათ შორის, 560 ათასი ადამიანი ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამით სარგებლობს. საქართველოს მთავრობა დაახლოებით 3.4 მილიონ ადამიანს უზრუნველყოფს საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით, ხოლო 546 ათასამდე პირს აქვს კერძო ან კორპორაციული დაზღვევა.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედების ერთ-ერთი მთავარი მიზანი ჯანდაცვაზე კერძო, საკუთარი ჯიბიდან გადახდის და კატასტროფული დანახარჯების შემცირებაა. 2010 წლის მონაცემებით<sup>6</sup> საქართველო ევროპის რეგიონში გამოირჩეოდა კერძო, საკუთარი ჯიბიდან გადახდის მაღალი მაჩვენებლით (70%), ხოლო შინამეურნეობების 9%-ს ჯანდაცვაზე კატასტროფული დანახარჯები ჰქონდა. სწორედ ჯანდაცვის მომსახურების მაღალი ღირებულების გამო, მოსახლეობის 44.3% ირჩევდა თვითმკურნალობას. საერთაშორისო მაჩვენებლებთან შედარებით (ევროკავშირი - 7.6 და დსთ-ის წევრი ქვეყნები - 8.6), საქართველოში კვლავაც დაბალია, როგორც ამბულატორიული ვიზიტების (2.1), ისე, ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებელი. ავადმყოფობის შემთხვევაში საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 8% მიმართავდა ოჯახის ექიმს მაშინ, როდესაც მოლდოვის რესპუბლიკაში, რუსეთის ფედერაციაში, ტაჯიკეთის რესპუბლიკასა და უზბეკეთის რესპუბლიკაში იგივე მაჩვენებელი 40%-ს აჭარბებდა.

---

<sup>5</sup> საქართველოს კანონი „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“.

<sup>6</sup> სამედიცინო მომსახურებით სარგებლობისა და ჯანდაცვის დანახარჯების კვლევა, 2010



წყარო: ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია

აღსანიშნავია ისიც, რომ შინამეურნეობების მიერ პირდაპირი/საკუთარი ჯიბიდან გადახდილი თანხების 2/3-ს მედიკამენტებზე დანახარჯები შეადგენდა. საქართველოს მოსახლეობა მედიკამენტებზე ყოველწლიურად მშპ-ს 3%-ს ხარჯავდა, რაც ორჯერ აღემატება ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრი ქვეყნების საშუალო მონაცემებს. მედიკამენტებზე არსებული მაღალი დანახარჯები აიხსნება წამლების არარაციონალური დანიშვნის პრაქტიკით, მოსახლეობაში თვითმკურნალობის მაღალი მაჩვენებლით და გენერული მედიკამენტების ნაკლებად გამოყენებით.

სამედიცინო მომსახურების მაღალი ღირებულების გარდა, კვლავ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება მომსახურების ხარისხი. სამედიცინო დაწესებულებების მასობრივი პრივატიზაცია და მარკეტიზაცია (2013 წლისთვის სამედიცინო დაწესებულებების 10%-ზე ნაკლები რჩება სახელმწიფო საკუთრებაში) არ იყო დაბალანსებული რეგულირების სათანადო მექანიზმებით, რაც დაიცავდა პაციენტის უფლებას, მიეღო ხარისხიანი სამედიცინო მომსახურება და კლინიკებში დანერგილიყო სამედიცინო შეცდომების ეფექტიანი მართვის სისტემები.

ქვეყანაში არ ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის ისეთი აპრობირებული მეთოდები, როგორებიცაა აკრედიტაცია, ხოლო ინფრასტრუქტურის და ადამიანური რესურსის კუთხით არსებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები საჭიროებს ძირეულ ცვლილებებს. კვალიფიციური ადამიანური რესურსების ნაკლებობა და მათი არათანაბარი გეოგრაფიული გადანაწილება ასევე მნიშვნელოვან ბარიერად რჩება ხარისხიანი სამედიცინო სერვისის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის კუთხით არაკეთილსაიმედო გამოსავლის, სამედიცინო მომსახურების დაბალი ხარისხისა და მომსახურებისთვის მაღალი,

„გამაღარიბებელი“ საკუთარი ჯიბიდან გადახდის მიღმა ორი ძირითადი პრობლემა იკვეთება: (1) ჯანდაცვის სექტორის დაფინანსების სისტემის არასრულყოფილება და (2) სამედიცინო მომსახურების არასათანადო რეგულირება.

### **ხარისხიანი და ხელმისაწვდომი ჯანდაცვის უზრუნველყოფის მიზნით განსახორციელებელი პოლიტიკის მიმართულებები**

ამ სფეროში განსახორციელებელი პოლიტიკა მიზნად ისახავს მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ტვირთის (მ.შ. კატასტროფული დანახარჯების რისკების) შემცირებით და ავადობის და სიკვდილიანობის გამომწვევი ძირითადი მიზეზების პრევენციით, სამედიცინო სერვისის ხარისხის ამაღლებითა და ჯანდაცვის მართვის სისტემების სრულყოფით.

### **ჯანდაცვის დაფინანსების სისტემების გაუმჯობესება**

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების არეალის შენარჩუნებითა და ჯანდაცვის სექტორის დაფინანსების სისტემების გაუმჯობესებით იგეგმება არა ჯანდაცვის მთლიანი დანახარჯის ოდენობის ზრდა (რაც უკვე 2011 წლისათვის მშპ-სთან მიმართებით 9%-ს შეადგენდა), არამედ სამედიცინო სერვისსა და მედიკამენტებზე შინამეურნეობების ფინანსური ტვირთის შემცირება სახელმწიფო და კერძო დანახარჯებს შორის თანაფარდობის ცვლილების გზით.

ჯანდაცვის სექტორში დაფინანსების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, ამოქმედდება საყოველთაო ჯანდაცვის საბაზისო სერვისის „ერთიანი შემსყიდველი მექანიზმი“.

ამასთანავე, განიხილება სამედიცინო მომსახურების დაფინანსების ინტეგრირებული სისტემის (დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფების) დანერგვა, რომელიც სამედიცინო სერვისზე სახელმწიფო დანახარჯებს უფრო ეფექტიანს გახდის. გარდა ამისა, სახელმწიფო რესურსების ხარჯთ-ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით, იგეგმება დღემდე მოქმედი ჯანდაცვის „ვერტიკალური“ (ინდივიდუალურ დაავადებებზე ორიენტირებული) პროგრამების<sup>7</sup> რეფორმა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ინტეგრირებისა და სახელმწიფო ინვესტიციების მხოლოდ მაღალი ეფექტიანობის სერვისზე გადანაწილების გზით. მაღალმთიანი და ოკუპირებული რეგიონების მიმდებარე რაიონებში მცხოვრები განსაკუთრებით მოწყვლადი მოსახლეობის ინკლუზიურობის ხელშესაწყობად გაუმჯობესდება ჯანდაცვის ინფრასტრუქტურისა და სერვისის მიწოდების არსებული სისტემები.

---

<sup>7</sup> 2013 წელს ჯანდაცვის სახელმწიფო ბიუჯეტის 80%-ზე მეტი მიმართული იყო საყოველთაო ჯანდაცვის და ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამებზე. თუმცა, 130 მლნ. ლარი კვლავ რჩებოდა სპეციფიკური დაავადებების ე.წ. ვერტიკალურ სახელმწიფო პროგრამებზე (დიაბეტი, ტუბერკულოზი, შიდსი, სხვ).

### **სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება**

მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, რაც, თავის მხრივ, გაზრდის ჯანდაცვაზე გამოყოფილი რესურსების ეფექტიანობას, იგეგმება ხარისხის კონტროლის ერთიანი სისტემის ამოქმედება. იგი ითვალისწინებს: 1) სამკურნალო დაწესებულებების რეგულირების მექანიზმების გაუმჯობესებას, მათ შორის, შიდა აუდიტის, სალიცენზიო და სანებართვო პირობებისა და აკრედიტაციის მექანიზმების განვითარებას; 2) უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემის დანერგვას და შესაბამისი სტიმულირების მექანიზმების ამოქმედებას სამედიცინო პერსონალის მოტივაციის და კვალიფიკაციის ასამაღლებლად; 3) პაციენტთა უსაფრთხოებისა და უფლებების დაცვის გაძლიერებას სამედიცინო შეცდომების სისტემური მართვისა და დავის განხილვის ალტერნატიული მექანიზმების შექმნით; 4) კლინიკური პრაქტიკის სტანდარტების რეგულარულ განახლებასა და დანერგვას თანამედროვე ბიოსამედიცინო კვლევებსა და საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით. რეფორმის მიზანია 2020 წლისათვის სამედიცინო დაწესებულებების სულ მცირე, 70% დაექვემდებაროს აკრედიტაციის ეროვნულ სისტემას და ამაღლდეს მედპერსონალის კვალიფიკაცია სამედიცინო განათლების სისტემისა და სერტიფიცირების მექანიზმების გაძლიერებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

### **სამკურნალოწამლო საშუალებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა**

მედიკამენტების რაციონალური გამოყენების მიზნით, გამკაცრდება რეგულაცია, მათ შორის, მტკიცებულებაზე დაფუძნებული კლინიკური პრაქტიკის დანერგვისა და ურეცეპტოდ გასაცემი მედიკამენტების ჩამონათვალის ეტაპობრივი შემცირებით. აღნიშნული ზომები შეამცირებს წამლის არასწორ გამოყენებას (მ.შ. მედიკამენტების მიმართ რეზისტენტობის განვითარების საფრთხეს) და ხელს შეუწყობს სამედიცინო დაწესებულებებში მიმართვიანობის გაზრდას.

დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სახელმწიფო თუ დონორი ორგანიზაციების რესურსებით, მოსახლეობას უფასოდ აწვდის მთელ რიგ სასიცოცხლო მნიშვნელობის მედიკამენტებს (დიაბეტის, ტუბერკულოზის, შიდსის, დიალიზის, ჰემოფილიის, გადაუდებელი და გეგმური ოპერაციების დროს გამოსაყენებელ პრეპარატებს). გარდა ამისა, განსაზღვრულია პრიორიტეტული დაავადებების (მაგ. ჰიპერტენზიის) სამკურნალოდ ესენციური მედიკამენტების ჩართვა საბაზისო პაკეტში. საქართველოს მთავრობა ერთიანი შესყიდვების ან სხვა ხარჯთ-ეფექტური მექანიზმების გამოყენებით უზრუნველყოფს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მედიკამენტების (ანტირეტროვირუსული, ტუბსაწინააღმდეგო წამლებისა და ვაქცინების) უწყვეტად მიწოდებას.

### **პირველადი ჯანდაცვის გაძლიერება**

სახელმწიფო გააძლიერებს ოჯახის ექიმის ინსტიტუტს, როგორც პირველადი მიმართვის რგოლს, რათა გაუმჯობესდეს პაციენტთა მართვა ამბულატორიულ დონეზე. ასევე, განიხილება პირველადი ჯანდაცვის და სამედიცინო მომსახურების სხვა დონეებს შორის უფრო ეფექტიანი კავშირის ამოქმედება სამედიცინო მომსახურების უწყვეტობის და ამ მომსახურებასთან დაკავშირებული ჭარბი დანახარჯების შესამცირებლად. სახელმწიფო ყურადღებას გაამახვილებს პირველადი ჯანდაცვის დონეზე პრიორიტეტული გადამდები (ვაქცინაციით მართვადი ინფექციების, ტუბერკულოზის) და არაგადამდები (გულსისხლძარღვთა, ონკოლოგიური) დაავადებების ადრეულ გამოვლენასა და ეფექტიან მართვაზე. გაძლიერდება ჯანმრთელობის ხელშეწყობის ინიციატივები ალკოჰოლისა და თამბაქოს მოხმარების, წამალდამოკიდებულებისა და ჰიპოდინამიკის შემცირებისკენ როგორც ახალგაზრდა, ასევე, მოზრდილი მოსახლეობის ჯგუფებისათვის.

### მოსალოდნელი შედეგები

ჯანდაცვის სექტორში განსახორციელებელი ღონისძიებები მიზნად ისახავს მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდას და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას. საქართველოს მოსახლეობა უფრო მეტად იქნება დაცული ჯანდაცვაზე კატასტროფული დანახარჯების და გაღარიბების რისკებისაგან; გაუმჯობესდება ხელმისაწვდომობა ხარისხიან სამედიცინო მომსახურებასა და სამკურნალწამლო საშუალებებზე; გაიზრდება საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის ეფექტიანობა ადმინისტრირების გაუმჯობესებისა და პროფილაქტიკურ ღონისძიებებზე მეტი ძალისხმევის მიმართვის გზით. აღნიშნული კი დადებითად აისახება ქვეყანაში ადამიანური კაპიტალის განვითარების, ეკონომიკური ზრდის და სიღარიბის მაჩვენებლებზე.

### მიზნები ხარისხიანი და ხელმისაწვდომი ჯანდაცვის უზრუნველყოფისთვის

| მაჩვენებელი   | საბაზისო | 2017 | 2020 |
|---|----------|------|------|
| ჯანმრთელობის სახელმწიფო დაზღვევის/საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებით მოსახლეობის მომსახურება, % (2012) | 50       | 100  | 100  |
| ჯანდაცვაზე საკუთარი ჯიბიდან გადახდის წილი ჯანდაცვაზე მთლიან დანახარჯებში, % (2011)                              | 70       | ≤50  | ≤30  |
| სამკურნალწამლო საშუალებებზე დანახარჯების ჯანდაცვაზე საკუთარი ჯიბიდან გადახდაში, % (2011)                        | წილი 60  | ≤40  | ≤20  |
| აკრედიტებული საავადმყოფოების წილი, %  | 0        | 50   | 70   |



|  |                 |      |      |    |
|--|-----------------|------|------|----|
| ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ<br>მიმართვიანობა (ვიზიტი ერთ სულ მოსახლეზე) (2012)   | დაწესებულებებში | 2.3  | 4    | 8  |
| სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას (2012)                          |                 | 74.7 | 74   | 76 |
| 0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 1000 ცოცხალშობილზე (2012) |                 | 12.4 | 10   | 8  |
| დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 100000 ცოცხალშობილზე (2012)                  |                 | 22.8 | 12.3 | 8  |

### 3. ფინანსებზე ხელმისაწვდომობა

სტრატეგიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად საჭიროა, რომ ეკონომიკის რეალური ზრდის ტემპი წლიურად საშუალოდ 7%-ს შეადგენდეს. აღნიშნული მაჩვენებლის უზრუნველსაყოფად, მწარმოებლურობის ზრდასთან ერთად, ეკონომიკაში ინვესტიციების მოცულობა ყოველწლიურად 10 ან მეტი პროცენტით უნდა გაიზარდოს.

გლობალური კონკურენტუნარიანობის 2013-2014 წლების ანგარიშის მიხედვით, საქართველოში კერძო ბიზნესის განვითარების ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორს ფინანსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. მსგავსი შედეგები აჩვენა სხვა ორგანიზაციების (მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია) კვლევებმაც.

ფინანსებზე ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანია ბიზნესის განვითარების, მწარმოებლურობის ზრდის, ექსპორტის არეალის გაფართოების და შესაბამისად, ეკონომიკაში ინვესტიციების ზრდის საჭირო ტემპის მისაღწევად. თუმცა, ამ მიმართულებით დღეისათვის ორი ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორი არსებობს: 1) ეროვნული დანაზოგების დონე დაბალია და ვერ უზრუნველყოფს სათანადო შიდა რესურსს ინვესტიციებისთვის; 2) ფინანსური შუამავლობა არაეფექტიანია და მიუხედავად ქვეყანაში ხშირ შემთხვევაში არსებული ჭარბი ლიკვიდურობისა, ვერ უზრუნველყოფს ეკონომიკის სტიმულირებისთვის საჭირო რესურსებს. შესაბამისად, ფინანსურ ინსტიტუტებსა და ბაზრებს სჭირდებათ განვითარება, სამართლებრივი, მარეგულირებელი და ინსტიტუციური ასპექტების გათვალისწინებით.

### საინვესტიციო რესურსების მობილიზება


#### არსებული მდგომარეობა

სწრაფი და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ტემპების მისაღწევად, ყოველწლიურად ეკონომიკაში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა უნდა შეადგენდეს მშპ-ს, მინიმუმ, 30%-ს. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ შიდა დანაზოგების მობილიზაციით, უცხოური ინვესტიციების მოზიდვით და შიდა ფინანსური ბაზრების განვითარებით. თუმცა, შიდა დანაზოგების არსებული დონე და მთლიანი კაპიტალის ფორმირების დინამიკა არ იძლევა სტრატეგიით დასახული მიზნების მიღწევის გარანტიას. გლობალური კონკურენტუნარიანობის 2013-2014

წლების ანგარიშის მიხედვით, საქართველოს მთლიანი ეროვნული დანაზოგების კომპონენტში 98-ე ადგილი უკავია, ხოლო ადგილობრივი კაპიტალის ბაზრებზე ფინანსების ხელმისაწვდომობის კომპონენტში - 126-ე ადგილი. მეტიც, ამჟამინდელი სტატისტიკის მიხედვით, ქვეყანაში მთლიანი დანაზოგი მშპ-ს დაახლოებით 10-15%-ია. საბანკო სექტორის დეპოზიტები, რომლებიც დანაზოგების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა, 2012 წელს მშპ-ს მხოლოდ 24% შეადგენდა, მაშინ, როდესაც ეს მაჩვენებელი ლატვიის რესპუბლიკაში 38%, მოლდოვის რესპუბლიკაში 41%, თურქეთის რესპუბლიკაში 50%, ესტონეთის რესპუბლიკაში 56%, ჩეხეთის რესპუბლიკაში კი 67% იყო.

დიაგრამა 11

### კაპიტალის მთლიანი ფორმირება და დანაზოგები



წყარო: მსოფლიო ბანკი, მსოფლიო განვითარების ინდიკატორები

ამასთან, პრობლემას წარმოადგენს არა მარტო შიდა დანაზოგების სიმცირე საინვესტიციო რესურსების უზრუნველსაყოფად, არამედ ადგილობრივ ვალუტაში რესურსების ნაკლები ხელმისაწვდომობა და გრძელვადიანი სასესხო რესურსების ნაკლებობა. მეწარმეობის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია ადგილობრივ ვალუტაში ფინანსების ხელმისაწვდომობა და მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისთვის ბიზნესის გაფართოებისთვის და სამუშაო ადგილების შექმნისთვის ფინანსებზე წვდომის გაზრდა. გრძელვადიანი დაფინანსება აუცილებელია საინვესტიციო პროექტებისთვის, რომლებიც მიზნად ისახავს ფირმის მწარმოებლურობისა და ექსპორტის კონკურენტუნარიანობის გაზრდას და ტექნოლოგიური მოდერნიზების ხელშეწყობას.

საქართველოს ფინანსურმა ბაზრებმა ხელმისაწვდომი უნდა გახადონ როგორც მოკლევადიანი, ასევე, გრძელვადიანი დაფინანსება და ამით უპასუხონ სხვადასხვა

ტიპისა და განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მყოფი საწარმოების საჭიროებას. შესაბამისად, ქვეყნის განვითარების სტრატეგია უნდა გულისხმობდეს შესაბამისი ფინანსური ბაზრების და ინსტრუმენტების განვითარებას კანონმდებლობის, რეგულაციებისა და ინსტიტუციების გაძლიერებით. ამავე დროს, სახელმწიფოს დაეკისრება ბაზრის განვითარების ხელშეწყობის, ინვესტორებისა და დეპოზიტარებისთვის საჭირო წახალისებისა და მათი დაცვის მექანიზმების უზრუნველყოფა, ფისკალური ხარჯების შემცირება და კერძო კაპიტალის გამოდევნის თავიდან აცილება.

### **საინვესტიციო რესურსების მობილიზების მიზნით განსახორციელებელი პოლიტიკის მიმართულებები**

ინვესტიციებსა და დანაზოგებს შორის სხვაობის დასაფინანსებლად აუცილებელია, სახელმწიფომ განახორციელოს ღონისძიებები როგორც დანაზოგების ზრდის ხელშეწყობის, ისე უცხოური კაპიტალის შემოდინების წახალისების მიზნით. ამასთან, დანაზოგების ზრდისთვის მნიშვნელოვანი წინაპირობებია ერთი მხრივ, მაკროეკონომიკური სტაბილურობა, მათ შორის, დანაზოგების მსყიდველობითი უნარის სტაბილურობის უზრუნველყოფა და, მეორე მხრივ, გამჭვირვალე და ეფექტიანი მექანიზმები ინვესტიციებისა და დანაზოგების დასაცავად. ქვეყნის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად და საერთაშორისო მოწვევადობის შესასუსტებლად, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა შიდა დანაზოგების წახალისებას. დანაზოგები შედგება ორი ძირითადი ელემენტისგან - სახელმწიფო და კერძო დანაზოგებისგან. შესაბამისად, მნიშვნელოვანია როგორც სახელმწიფო დანაზოგების ზრდა, ასევე, კერძო დანაზოგების ზრდის ხელშეწყობა.

### **დანაზოგებზე ორიენტირებული ფისკალური პოლიტიკა**

სახელმწიფო დანაზოგების გაზრდის მიზნით, საშუალოვადიან პერიოდში საქართველოს მთავრობა განახორციელებს ფისკალური კონსოლიდაციის თანმიმდევრულ პოლიტიკას. კლებადი და მდგრადი დეფიციტის უზრუნველყოფით სახელმწიფო გაზრდის დანაზოგების მოცულობას ქვეყანაში. ამასთან, შეძლებისდაგვარად, რესურსები დაიხარჯება საჯარო-კერძო პარტნიორობის გზით.

### **დეპოზიტების დაზღვევის დანერგვა**

კერძო დანაზოგების სტიმულირების მიზნით, დაინერგება დეპოზიტის დაზღვევის გამჭვირვალე და ნათელი სისტემა, რაც შეამცირებს საბანკო სისტემაში ფულის განთავსების რისკს. სისტემა უნდა ეყრდნობოდეს საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებას. დეპოზიტების დაზღვევის ქმედითი მექანიზმის ჩამოსაყალიბებლად საქართველოს მთავრობა ითანამშრომლებს საქართველოს ეროვნულ ბანკთან და საბანკო სექტორთან.

### **საპენსიო რეფორმა**

საპენსიო რეფორმა, რომელიც ითვალისწინებს სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სისტემის ჩამოყალიბებას, ხელს შეუწყობს ქვეყანაში დანაზოგების მოცულობის ზრდას. აღნიშნული რეფორმა სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პარალელურად შექმნის დამატებით წყაროს ინვესტირებისათვის.

იმისათვის, რომ დაგროვებითმა საპენსიო სისტემამ გამოიწვიოს საინვესტიციო რესურსების ზრდა, მნიშვნელოვანია, ქვეყანაში განვითარდეს კაპიტალის ბაზრები და ასევე, ხელი შეეწყოს კერძო დაზღვევის ოპერაციების სრულყოფას.

### **უცხოური ინვესტიციები**

გრძელვადიან საინვესტიციო რესურსებზე ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად, საჭიროა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება განაპირობებს ინვესტიციების ზრდას, ფინანსური რესურსების დივერსიფიკაციას, მათი ვადიანობის ზრდას და ცოდნის და ტექნოლოგიების განვითარება/გაფართოებას. შესაბამისად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, განსაკუთრებით ექსპორტზე ორიენტირებულ ინდუსტრიებში და ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის უზრუნველყოფა ერთიორად გაზრდის ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობას.

### **გრძელვადიანი საინვესტიციო რესურსის წახალისება**

მნიშვნელოვანია გრძელვადიანი შიდა და საგარეო საინვესტიციო რესურსის არსებობა ქვეყანაში. შიდა დანაზოგების წახალისების პოლიტიკის ფარგლებში საქართველოს მთავრობა ხელს შეუწყობს გრძელვადიანი დანაზოგებისა და ინვესტირების ინსტრუმენტების, მათ შორის, ობლიგაციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების გამოშვებას. განვითარდება ინსტიტუტები, ასევე, კერძო კაპიტალის და საინვესტიციო ფონდები გრძელვადიანი ინვესტიციების განსახორციელებლად. საქართველოს მთავრობისთვის პრიორიტეტულია გრძელვადიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა.

### **ლარიზაცია**

დღეისათვის საოჯახო მეურნეობები და მეწარმეები უპირატესობას უცხოურ ვალუტაში დაზოგვას ანიჭებენ. ამასთან, უცხოურ და ეროვნულ ვალუტებში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთის განსხვავების გამო ადგილობრივი მეწარმეები, მათ შორის, ექსპორტზე არაორიენტირებული მეწარმეები, არჩევენ სესხი უცხოურ ვალუტაში აიღონ. ამის შედეგად კერძო სექტორი სავალუტო რისკის წინაშე დგება, რაც ასევე იწვევს ბანკების სასესხო პორტფელის ძლიერ დოლარიზაციას (რომლის მაჩვენებელიც მნიშვნელოვნად შემცირდა ბოლო 4 წლის განმავლობაში, მაგრამ კვლავ ბანკის სასესხო პორტფელის 63%-ს შეადგენს). მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის ზედმეტი სავალუტო რისკი ზრდის მათ საკრედიტო რისკებს და შესაბამისად, ამცირებს საკრედიტო პოტენციალს. აქედან გამომდინარე, საქართველოს მთავრობა და საქართველოს ეროვნული ბანკი, საბაზრო

ინსტრუმენტებით წაახალისებენ ლარიზაციას, რათა გაიზარდოს ლარში გაცემული გრძელვადიანი სესხების და ლარში განთავსებული დეპოზიტების მოცულობა. ეს კი მნიშვნელოვნად შეამცირებს მცირე და საშუალო ბიზნესის რისკებს და გაზრდის მათ ხელმისაწვდომობას ფინანსებზე.

### მოსალოდნელი შედეგები

განხორციელებული ღონისძიებების შედეგად ქვეყანაში გაიზრდება საკრედიტო რესურსის მოცულობა და შეიქმნება ფინანსებზე ხელმისაწვდომობისათვის გრძელვადიანი და სტაბილური ბაზა. ეს, თავის მხრივ, გააიაფებს საინვესტიციო რესურსს და გაზრდის ინვესტიციების მოცულობას ეკონომიკაში, რაც პირდაპირ აისახება მთლიანი შიდა პროდუქტის, დასაქმების და, ზოგადად, ქვეყნის კეთილდღეობის ზრდაზე.

### მიზნები საინვესტიციო რესურსების მობილიზებისთვის

| მაჩვენებელი                         | საბაზისო | 2017  | 2020  |
|-------------------------------------|----------|-------|-------|
| შიდა დანაზოგების წილი მშპ-ში (%)    | 10       | 20-22 | 25-28 |
| საბანკო დეპოზიტების წილი მშპ-ში (%) | 25       | 34    | 40    |

### ფინანსური შუამავლობის განვითარების ხელშეწყობა არსებული სიტუაცია

საქართველოში ფინანსური შუამავლობისთვის არსებული რესურსები ძირითადად მოკლევადიანია, რაც იწვევს მოკლევადიანი და საშუალოვადიანი სესხების დომინირებას ბაზარზე და 5 წელიწადზე უფრო გრძელვადიანი ფინანსური რესურსების ნაკლებობას. ფინანსური შუამავლებიდან ყველაზე განვითარებული საბანკო სექტორია, ხოლო არასაბანკო ფინანსური შუამავლები საბანკო სექტორის აქტივების მხოლოდ 5%-ს და მშპ-ს 4%-ზე ნაკლებს შეადგენს. ფინანსებზე ხელმისაწვდომობა განსაკუთრებით დიდ პრობლემას წარმოადგენს მცირე, საშუალო და ახლად შექმნილი ბიზნესისთვის. ახალი, ინოვაციური საწარმოებისთვის და ფერმერებისათვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობა განსაკუთრებით პრობლემურია სესხების მომსახურების მაღალი ხარჯებისა და უზრუნველყოფის პირობების გამო, რადგან ახალ საწარმოებს ხშირ შემთხვევაში არა აქვთ საკმარისი უზრუნველყოფა ან საკრედიტო ისტორია. კომპანიებს, რომლებიც დაკავებული არიან ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვით, არ შეუძლიათ თავიანთი ინტელექტუალური საკუთრების უზრუნველყოფა და გამოყენება ან/და ეს არ არის საკმარისი ბიზნესის წამოწყების დაფინანსებისთვის. მნიშვნელოვანია ასევე სასოფლო-სამეურნეო სფეროში საკადასტრო რეფორმის გატარება. სოფლის მეურნეობის ბაზრის ძლიერი ფრაგმენტაცია და სუსტი სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურა ართულებს ამ დარგში საინვესტიციო რესურსის მიმართვას. ამასთან, სადაზღვევო პროდუქტების განვითარებლობა არ იძლევა სხვადასხვა ბიზნეს (როგორებიცაა მოსავლის, ამინდის

ან ბუნებრივი კატასტროფებისგან დაზღვევა) და საკრედიტო (უძრავი ქონების და საკუთრების დაზღვევა, გადახდის დაზღვევა და სხვა) რისკების შემცირების და კრედიტორებისთვის საკრედიტო პირობების გაუმჯობესების - სესხის ხარჯების შემცირების საშუალებას.

ეკონომიკის სექტორული დივერსიფიცირების ხელშესაწყობად და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გასაზრდელად, საჭიროა საბანკო და მიკრო-საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობის დახვეწა. ასევე, აუცილებელია არასაბანკო ფინანსური შუამავლობის, განსაკუთრებით, ფინანსური ლიზინგის, ფაქტორინგის და კაპიტალის ბაზრების განვითარების საშუალებით გრძელვადიანი დაფინანსების სხვა ფორმების განვითარება.

სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს განუვითარებელი კაპიტალის ბაზრები. 2012 წელს საქართველოს საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებული კომპანიების კაპიტალიზაცია მშპ-ს 2%-ს შეადგენდა, გარიგებათა მოცულობა კი მშპ-ს 3%-ზე ნაკლები იყო. გლობალური კონკურენტუნარიანობის 2013-2014 წლების ანგარიშის მიხედვით, საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს ადგილობრივი კაპიტალის ბაზარზე დაფინანსების მოზიდვის და ვენჩერულ კაპიტალზე ხელმისაწვდომობის მიხედვით, ვენჩერული და კერძო კაპიტალისთვის ქვეყნის მიმზიდველობის ინდექსში (2013) კი საქართველო 118 ქვეყნიდან 72-ე ადგილზეა.

ნაკლებად განვითარებული საფონდო ბაზარი შეიძლება დავახასიათოთ კომპანიების ბრუნვადი ფასიანი ქაღალდების სიმცირით და ადგილობრივი, განსაკუთრებით, კორპორაციული ობლიგაციების ბაზრის განუვითარებლობით. ფაქტობრივად არ არსებობს არც გირაოთი და არც სხვა გარანტიით გამყარებული ობლიგაციები. აღნიშნული პრობლემები შემდეგი ძირითადი მიზეზებით შეიძლება აიხსნას: ა) მსგავსი სახის ფასიანი ქაღალდები ჯერ არ არის მიმზიდველი ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისათვის და ინვესტორებისთვის მოცულობის, ღირებულებისა და ხარჯების გამო; ბ) სამართლებრივი და მარეგულირებელი მექანიზმები არ არის სრულყოფილი და საჭიროებს შემდგომ განვითარებას; გ) ფასიანი ქაღალდების ემისიის ხარჯი შეიძლება იყოს ძალიან მაღალი და საბანკო სესხთან შედარებით ნაკლებად მიმზიდველი; დ) ბაზარი არ არის საკმარისად გამჭვირვალე, რომ მიიზიდოს ინვესტორები, განსაკუთრებით უცხოელი ინვესტორები და, შესაბამისად, ფინანსური ბაზრების შესაბამისი კანონმდებლობა დახვეწას საჭიროებს.

ერთი მხრივ, კომპანიები არ იღებენ გადაწყვეტილებას განათავსონ აქციები ან ობლიგაციები საფონდო ბაზარზე. კომპანიათა ამგვარი ქცევის მიზეზები შეიძლება აიხსნას შემდეგი გარემოებებით: ა) პრობლემას წარმოადგენს შესაბამისობის ხარჯები. ბევრი კომპანია ისტორიულად არ ახორციელებდა რეგულარულ ფინანსურ ანგარიშგებას. ამის გამო საფონდო ბირჟაზე ვაჭრობისთვის დაშვებული კომპანიების მიმართ წაყენებულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის ხარჯი და დრო შეიძლება ზედმეტად დიდი იყოს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ გადაწყვეტილებას კომპანიისთვის აშკარა სარგებელი მოაქვს; ბ) თუ გარიგება

საკმარისად დიდი არ არის, მაშინ გარიგების ღირებულება საფონდო ბაზარზე მაღალია, რაც მას საბანკო კრედიტთან შედარებით ნაკლებად მიმზიდველს ხდის; გ) საწარმოთა გამოცდილების სიმცირე და მათი საფონდო ბირჟის საქმიანობის არცოდნა ცუდ სასტარტო პირობებში აყენებს საქართველოს საფონდო ბაზარს.

მეორე მხრივ, დანაზოგების მფლობელები დგანან რისკის წინაშე და მათთვის გადაწყვეტილების მიღება, თავიანთი დანაზოგები დააბანდონ კორპორაციულ აქციებსა და ობლიგაციებში, ნაკლებად მიმზიდველია, რადგან: ა) საქართველოში ჩამოყალიბდა ცუდი ისტორიული გამოცდილება კერძო სექტორის ფასიანი ქაღალდების მიმართ; ბ) კერძო სექტორის მართვის და გამჭვირვალობის დაბალი სტანდარტები დანაზოგების მფლობელებს ხელს უშლის მიიღონ გადაწყვეტილება კერძო სექტორში ინვესტირების შესახებ; გ) არასათანადოა სამართლებრივი და ინსტიტუციური ბაზა უმნიშვნელო წილის მფლობელი აქციონერების უფლებების დაცვისთვის; დ) არასტაბილურია ქართული კომპანიების საქმიანობა მენეჯმენტის დაბალი ხარისხის, ბიზნესის ტექნოლოგიური განვითარების დაბალი დონის, შრომის ბაზარზე მოთხოვნისა და მიწოდების დისბალანსის, ბაზრის არასტაბილურობის გამო; ე) არ არის განვითარებული ფინანსური ინსტრუმენტები, ინსტიტუტები და კაპიტალის ბაზრის ინფრასტრუქტურა (საფონდო ბირჟის, საკრედიტო სარეიტინგო კომპანიების, ფინანსური საკონსულტაციო მომსახურების, საინვესტიციო ფონდების, ბროკერების, დილერების და სხვ. ჩათვლით).

### **ფინანსური შუამავლობის განვითარების მიზნით განსახორციელებელი პოლიტიკის მიმართულებები**

სახელმწიფო პოლიტიკის მიზანი საბანკო და არასაბანკო ფინანსური შუამავლობის გაუმჯობესება იქნება, რაც ხელს შეუწყობს არსებული დანაზოგების ეკონომიკის რეალურ სექტორში მიმართვას.

ფინანსებზე ხელმისაწვდომობის რეფორმის წარმატებით განსახორციელებლად გაძლიერდება დაკრედიტების ინფრასტრუქტურა, რაც გულისხმობს ისეთი სამართლებრივი და ინსტიტუციური რეგულირების შემოღებას, რომელიც გააუმჯობესებს საკრედიტო ინფორმაციის ბიუროს საქმიანობას, ასევე ტრანზაქციების დაცულობას, გადახდის უუნარობისა და გაკოტრების პროცედურებს.

არასაბანკო ფინანსური სექტორის, მათ შორის, სამართლებრივ ასპექტში განვითარებისთვის საჭიროა: 1) ისეთი არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტებისთვის, როგორებიცაა მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, სალიზინგო კომპანიები და ფაქტორინგი, სამართლებრივი რეგულირების დახვეწა; 2) ადეკვატური სამართლებრივი და ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფა კაპიტალის ბაზრებისთვის; 3) ინსტიტუციური ინვესტორების შემოსვლის და ოპერირების წახალისება; 4) სარისკო კაპიტალის სხვადასხვა ფორმის განვითარების ხელშეწყობა დამწყები, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის მიზნით; 5) საინვესტიციო პროდუქტებისა და ინსტრუმენტების განვითარება; 6) ვაჭრობასა და აქტივებზე დამყარებული დაფინანსების სპეციალური ინსტრუმენტების განვითარება.

### **საბანკო სექტორის ფინანსური შუამავლობის გაღრმავება**

მნიშვნელოვანია ბანკების მიერ განხორციელებული ფინანსური შუამავლობის განვითარება, რადგან სწორედ ბანკები წარმოადგენენ საქართველოში საოჯახო მეურნეობისა და მეწარმეებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის მთავარ წყაროს. ამჟამად მცირე და საშუალო მეწარმეებზე გაცემული სესხები საბანკო სექტორის მიერ გაცემული სესხების 20%-ს შეადგენს, მაშინ, როდესაც, მცირე და საშუალო მეწარმეები საქართველოში დარეგისტრირებული მეწარმეების 92%-ს წარმოადგენენ.

მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, მნიშვნელოვანია საბანკო პროდუქტების ხარისხის და მრავალფეროვნების ზრდა და სესხების მომსახურების ხარჯების შემცირება. საკრედიტო ხარჯების შესამცირებლად, ასევე, მნიშვნელოვანია დაკრედიტების ინსტრუმენტების გაუმჯობესება.

### **არასაბანკო საკრედიტო და საინვესტიციო ინსტიტუტების წახალისება**

მნიშვნელოვანია არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტების (მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ფინანსური ლიზინგი, ფაქტორინგი) განვითარება, საკანონმდებლო რეგულირებების დახვეწა და საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანა, რათა გაძლიერდეს მომხმარებლების დაცვა, გაიზარდოს არასაბანკო საფინანსო ორგანიზაციების გამჭვირვალობა და მათი მხრიდან ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

გარდა ამისა, ფინანსური შუამავლობის გაუმჯობესების მხრივ, დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთი ფინანსური ინსტიტუტების განვითარებას, როგორებიცაა: ფინანსური ლიზინგი, სადაზღვევო კომპანიები და საპენსიო ფონდები. საქართველოს მთავრობა ხელს შეუწყობს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვას და ადმინისტრაციული ბარიერების აღმოფხვრას. ეს ღონისძიებები განხორციელდება ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

დღეისათვის ქვეყანაში არსებობს როგორც სამართლებრივი, ისე ადმინისტრაციული ბარიერები, რომლებიც ამ დაწესებულებებს თავიანთი პოტენციალის სრულად გამოყენების საშუალებას არ აძლევს. ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა მიმართული იქნება სწორედ ამ ხარვეზების აღმოფხვრისკენ. კერძოდ, სახელმწიფო განახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც აამაღლებს სასამართლოებისა და სხვა ადმინისტრაციული ორგანოების კვალიფიკაციას ლიზინგთან მიმართებით და გააძლიერებს სალიზინგო კომპანიების საკუთრების უფლების დაცვას.

### **საფონდო ბაზრის განვითარების ხელშეწყობა**

საფონდო ბაზრის განვითარების მიზნით, საქართველოს მთავრობა გაატარებს შემდეგ ღონისძიებებს:

**ფინანსური განათლების გაუმჯობესება** - სახელმწიფო ხელს შეუწყობს ფასიანი ქაღალდების ემისიის პოტენციალის მქონე კომპანიებისთვის ინფორმაციის



მიწოდებას. იგი ტექნიკურ დახმარებას გაუწევს პოტენციურ ემიტენტებს მსოფლიოს წარმატებული პრაქტიკის გაცნობის და საინვესტიციო სახსრების ფასიანი ქაღალდებით მოზიდვის უპირატესობის განმარტების გზით.

ყურადღება უნდა მიექცეს მცირე ინვესტორთა (დანაზოგების მფლობელთა) ფინანსური განათლების ზრდას. სახელმწიფო უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებულობას როგორც ფასიანი ქაღალდების თავისებურებების, ისე, აქციონერთა უფლებების შესახებ.

**გამჭვირვალობის ხელშეწყობა** - ფინანსური გამჭვირვალობის წახალისების მიზნით, სახელმწიფო ხელს შეუწყობს კომპანიების აღრიცხვის და ანგარიშგების სისტემების (ბუღალტერია, აუდიტი) და ინფორმაციის გამჟღავნების პროცესების (მათ შორის, ინფორმაცია მეწილეებისა და აქციონერების შესახებ) საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის ზრდას. ამას კი განამტკიცებს შესაბამისი რეფორმა ფინანსური ანგარიშგების სფეროში, რომელიც განხორციელდება IFRS-ის შესაბამისად, ასევე, აუდიტის რეფორმა, რომელიც მორგებული იქნება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს (ISA). გაიზრდება საბუღალტრო და აუდიტის სერვისის ხარისხი და ხელი შეეწყობა შესაბამისი ფინანსური კონსულტაციების მომსახურების განვითარებას, რომელიც კომპანიებს შესაბამისი დოკუმენტების მომზადებაში დაეხმარება.

**საკანონმდებლო რეგულირებების დახვეწა კაპიტალის ბაზრის განვითარებისთვის** - სტრატეგია ითვალისწინებს სახელმწიფო და კორპორაციული ობლიგაციების ბაზრების სწრაფ განვითარებას, შესაბამისი სამართლებრივი უზრუნველყოფით.

საფონდო ბაზრის განვითარებას უფრო დიდი დრო დასჭირდება. თუმცა, ეს რეფორმები უნდა დაიწყოს შესაბამისი საკანონმდებლო აქტების დახვეწა/განვითარებით, მათ შორის, ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელი ნორმების შესაბამისობაში მოყვანით ფასიანი ქაღალდების კომისიის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOSCO) პრინციპებთან.

ზემოაღნიშნული ღონისძიებების გატარება განაპირობებს ბაზრის გამჭვირვალობის და ინვესტორთა ნდობის გაზრდას; კორპორაციული მართვის გაძლიერებას და ინვესტორების, მათ შორის, უმნიშვნელო წილის მქონე ინვესტორების ინტერესების უკეთ დაცვას; ბაზარზე პოზიციების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობის, მათ შორის, სპეკულაციური და ინსაიდერული გარიგებების შემცირებას და საერთაშორისო სტანდარტებთან და პრაქტიკასთან შესაბამისობის გაზრდას.

**კაპიტალის ბაზრის ინფრასტრუქტურის განვითარება** - ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდის მიზნით, საქართველოს მთავრობა ხელს შეუწყობს ქვეყანაში კაპიტალის ბაზრის ინფრასტრუქტურის განვითარებას, მათ შორის, სავაჭრო სისტემის, როგორც საფონდო ბირჟის, ასევე, პირდაპირ ვაჭრობაზე დამყარებული (OTC) ვაჭრობის სისტემის, საკრედიტო სარეიტინგო მომსახურების, რეგულაციების და ბაზრის ზედამხედველობის განვითარებას საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის და IOSCO-ს პრინციპების შესაბამისად. ეს

უზრუნველყოფს ემიტენტების ფინანსურ გამჭვირვალობას, გარიგებათა ხარჯების და ანგარიშსწორებათა რისკების მინიმიზაციას, სპეკულაციური და ინსაიდერული გარიგებების აღმოფხვრასა და ბაზრებზე შეთანხმებული წესებით საქმიანობას.

**კაპიტალის ბაზრის ინსტრუმენტების განვითარება** - კაპიტალის ბაზრების განვითარების მიზნით, საქართველოს მთავრობა გადახედავს არსებულ კანონმდებლობას, საჭიროებისამებრ, შეიმუშავებს ახალ ნორმებსა და რეგულირებებს. ასევე, უზრუნველყოფს კორპორაციული ობლიგაციების, სხვა ვალდებულებითი ფასიანი ქაღალდების, კერძო კაპიტალის ინსტრუმენტებისა და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების განვითარებას.

### **სარისკო და ვენჩერული კაპიტალის განვითარების ხელშეწყობა**

დამწყები და მაღალი რისკის მქონე ბიზნესის, ასევე, ინოვაციური საქმიანობის დაფინანსებისთვის აუცილებელია ვენჩერული ტიპის დაფინანსების განვითარება. ვენჩერული კაპიტალია საჭირო ინოვაციური პროექტების დასაფინანსებლად. საქართველოს მთავრობა ხელს შეუწყობს შესაბამისი საკანონმდებლო და ინსტიტუციური გარემოს შექმნას.

### **მცირე, საშუალო და ახლად შექმნილი ბიზნესისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდა**

მცირე, საშუალო და ახლად შექმნილი ბიზნესის, ასევე, ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით, შეიქმნა სსიპ - მეწარმეობის განვითარების სააგენტო, რომლის მთავარი მიზანია მცირე და საშუალო მეწარმეთა უნარების ამაღლება, ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, მათი საექსპორტო პოტენციალის გაძლიერება და ბაზარზე ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა. გარდა ამისა, სსიპ - საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების სააგენტოს დახმარებით საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს სამეწარმეო ინოვაციების განვითარებას, ინოვაციური ეკოსისტემის გაუმჯობესებას (საჯარო/კერძო პარტნიორობის საშუალებით შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნას, როგორცაა ბიზნესინკუბატორები), კვლევასა და განვითარებაში ინვესტირების ზრდას და მათ კომერციალიზაციას. მნიშვნელოვანია ინოვაციური მეწარმეობის, ქართული კომპანიების ტექნოლოგიური მოდერნიზაციის, ასევე, ექსპორტის კონკურენტუნარიანობის ამაღლების და მწარმოებლურობის ზრდის ხელშეწყობა.

### **სოფლის მეურნეობის სფეროში მოქმედი ბიზნესისთვის საინვესტიციო რესურსებზე ხელმისაწვდომობის ზრდის ხელშეწყობა**

დღეისათვის სოფლის მეურნეობის სექტორში ინვესტიციათა მოზიდვის პრობლემა ძირითადად დაკავშირებულია სუსტად განვითარებულ მიწის ბაზართან, საფინანსო ინსტრუმენტების, კერძოდ, სალიზინგო და სადაზღვევო სფეროების განუვითარებლობასთან და თანამედროვე ფინანსური ინსტრუმენტების, მაგალითად, სასაწყობე ჩეკების სისტემის არარსებობასთან. ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდის მიზნით, გარდა ზემოაღნიშნული ღონისძიებებისა (რაც, მათ შორის, მოიცავს

მიწის კადასტრის მოწესრიგებას), საფინანსო ინსტიტუტებთან თანამშრომლობით დაინერგება დაკრედიტების ახლებური სქემები და შემუშავდება ახალი საფინანსო პროდუქტები, სასოფლო დაფინანსება გაადვილდება სახელმწიფოს მიერ ფერმერთა ჯგუფებისა და კოოპერატივების ჩამოყალიბების ხელშეწყობის გზით. ინვესტიციების წახალისებისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად ფერმერთა რეესტრის შექმნაც მოიაზრება.

### მოსალოდნელი შედეგი

განხორციელებული ღონისძიებები განაპირობებს დაფინანსების ინსტრუმენტების მრავალფეროვნებას. ახალი ფინანსური ინსტიტუტები საბანკო სექტორთან ერთად გაზრდის საფინანსო შუამავლობის და, შესაბამისად, საინვესტიციო რესურსების ეფექტიანად განთავსების ხარისხს, რაც, საბოლოოდ, გააუმჯობესებს ფინანსებზე ხელმისაწვდომობას.

### მიზნები ფინანსური შუამავლობის განვითარებისთვის

| მაჩვენებელი   | საბაზისო | 2017 | 2020 |
|---|----------|------|------|
| კერძო კრედიტის წილი მშპ-ში(%)   | 34.5     | 45   | 55   |
| საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებული კომპანიების კაპიტალიზაცია, მშპ-ს % | 6        | 10   | 16   |

### განხორციელების ჩარჩო

სტრატეგია განხორციელდება საქართველოს მთავრობის არსებული ან მომავალში მისაღები პოლიტიკის დოკუმენტების, მათ შორის, სახელმწიფო ბიუჯეტის, ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის, საქართველოს სამინისტროების, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატების და საქართველოს მთავრობას დაქვემდებარებული შესაბამისი უწყებების მიერ მომზადებული სტრატეგიების და სამოქმედო გეგმების მეშვეობით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ წინამდებარე სტრატეგია არ მოიცავს ყველა იმ ღონისძიებას, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ არის დაგეგმილი. იგი ფოკუსირებულია ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მთავარი შემაფერხებელი ფაქტორების დაძლევაზე.

სტრატეგიის ეფექტიანი განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია საქართველოს მთავრობის თანამშრომლობა კერძო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან, რაც გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების გარანტი იქნება. სტრატეგიით განსაზღვრული ღონისძიებების კოორდინაციას, ასევე, საქართველოს მთავრობასა და დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობას უზრუნველყოფს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია.

### მონიტორინგი და შეფასება

სტრატეგიის განხორციელება მოითხოვს შესაბამისი მონიტორინგის და შეფასების მექანიზმების შემუშავებას. ამასთან, სტრატეგია არის დოკუმენტი, რომელიც საჭიროებიდან გამომდინარე, მუდმივად უნდა განახლდეს სტრატეგიით დასახული მიზნების განსახორციელებლად და ამ მიღწევების სათანადოდ შესაფასებლად.

შესაბამისი სამინისტროების მიერ მომზადებული ანგარიშების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ მომზადდება წლიური ანგარიშები სტრატეგიით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების თაობაზე. საჭიროების შემთხვევაში, საჯარო კონსულტაციები გამოყენებული იქნება სტრატეგიის განხორციელებისას მეტი ძალისხმევის გამოვლენისა და კორექტივების შესატანად.

აგრეთვე, მომზადდება შუალედური და საბოლოო ანგარიშები სტრატეგიის განხორციელების შუალედური მდგომარეობის (2017 წლისათვის) და საბოლოო შედეგების (2020 წლისთვის) შესაფასებლად.

### **სტრატეგიის კავშირი სახელმწიფო ბიუჯეტთან**

საბიუჯეტო პროცესში ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი, ისევე, როგორც საქართველოს სამინისტროების, საქართველოს სახელმწიფო მინისტრების აპარატების და საქართველოს მთავრობას დაქვემდებარებული შესაბამისი უწყებების მიერ მომზადებული სტრატეგიის დოკუმენტები და სამოქმედო გეგმები უნდა შეესაბამებოდეს სტრატეგიით განსაზღვრული პოლიტიკის პრიორიტეტებს.

### **სტრატეგიის განხორციელების საერთო ჩარჩო**

საქართველო  
7001

დაგეგმვა

BDD & ბიუჯეტი

ანგარიშები

საქართველოს  
პარლამენტი

პოლიტიკის  
პრიორიტეტები

მთავრობის  
სამოქმედო გეგმა

ძირითადი  
მიმართულებები

განვითარების  
პარტნიორები

განსახორციელებელი  
დონისძიებები

სამინისტროების  
საშუალოვადიანი  
გეგმები

საბიუჯეტო  
პროგრამები

წლიური  
მონიტორინგის  
ანგარიშები

საქ-ს მთავრობის  
აღმინისჯარაია

შეფასების  
ინდიკატორები

პროგრამის  
შესრულების  
ინდიკატორები

შუალედური და  
საბოლოო  
შედეგები


ახალი

არსებული

დანართი. ზრდის დიაგნოსტიკის მეთოდი

ზრდის დიაგნოსტიკის მეთოდი გადაწყვეტილების მიღების ვერტიკალის მეშვეობით ადგენს ეკონომიკური ზრდის შემაფერხებელ ფაქტორებს. ქვემოთ მოყვანილი დიაგრამა ასახავს გადაწყვეტილებათა ვერტიკალის გამოყენებით გამოვლენილ ეკონომიკური ზრდის შემაფერხებელ ფაქტორებს.

### ზრდის დიაგნოსტიკის გადაწყვეტილებათა ვერტიკალი



ეს მეთოდი აქამდე საქართველოში ორ შემთხვევაში გამოიყენეს და მათ საფუძველზე სხვადასხვა დასკვნა მომზადდა. საქართველოს მთავრობის მიერ 2011 წელს განხორციელებული კვლევის შედეგად, სუსტად განვითარებული ადამიანური კაპიტალი და განუვითარებელი საგზაო ინფრასტრუქტურა ეკონომიკური ზრდის მთავარ შემაფერხებელ ფაქტორებად შეფასდა.

2012 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, ეკონომიკური ზრდის მთავარ შემაფერხებელ გარემოებად საკუთრების უფლების დაუცველობა იქნა მიჩნეული. ორივე კვლევის დასკვნა აქტუალური იყო კვლევის ჩატარების პერიოდისათვის.